

საქართველო




G. M. ...



უტურნალ „ჯეჯილისა“

I	ხედავ, ბუდეს როგორ იცავს. სურათი	3
II	ბავში და ჩიტი ლექსი—ნინო ნაკაშიძესი	5
III	ორი ხარი იგაეი—აფ. შიჩინაშვილისა	6
IV	ერთი ქილა ნაღები (ფრანგულიდან)—ტასასი	7
V	ლიოგენი (ნათარგმნი)—ს. დათუშვიძესი	9
VI	ხელმწიფის ქალი ხალხური ზღაპარი ჩაწერილი—ან—მანისა	11
VII	ყურძენი დამწიფდა!—ან. წყეტლისა	20
VIII	სახუმარო გასართობი და ახსნა	28
IX	სონა ციციშვილის ქალის სახსოვრათ—აკაკისა	31
X	სპილენძის საათი ფრანგულიდან—აფ. ბეშქენაძესი	34
XI	უგულო ბავში მოთხრობა მონგომერისა—ეფ. წყეტლისა	36
XII	ყრუ-მუნჯების და ბრმების მეგობრები - გაგრძელება—ან. წყეტლისა	44
XIII	მეფე გიორგი ბრწყინვალე—დ. კაკაშვილისა	50
XIV	ჯვაროსნული გალაშქრება ბავშვებისა—გაგრძელება ე. სი- სოევისა. (თარგმანი)—ნ. ენუქიძისა	55
XV	ფიზიკური გეოგრაფია პროფესორი გეიკისა—სან—ინისა	60





ს ა ქ ა რ თ ვ ი ლ ო ნ ა ხ ა ტ ე ბ ი ა ნ ი


ჟ უ რ ნ ა ლ ი

იზარდე, მწკანე ჯეჯილო,
დაბურდი, გახდი უნაო!..

ო. დ.

№ IX

წ ა ლ ი წ ა დ ი მ ე თ ა ქ ვ ს ე ბ ა



ტ შ ი ლ ი ს ი

ს ტ ა მ ა ს ტ. შ. რ ო ტ ი ნ ა ნ ც ი ს ა, № 41 || ტ ი. ტ. მ. რ ო ტ ი ა ნ ც ა, გ ო ლ. ო რ. № 41
1905



Дозволено цензурою. Тифлисъ, 7-го Октября 1905 г.

Х. М.

Второй отдел цензуры

1905

Тифлисъ, 14-го Октября 1905 г. № 11



ხედავ, ბუდეს როგორ იცავს, არავის ანებებს.



ჩ. ს. ს. ბაკში და ჩიტო.

ჩიტო, რას გალობ ძავ მწვანე ტოტზე,
 მოფრინდი ჩემთან, მოგიაღერებს!

გულით მიუვარსარ და უვაილებით
 ოქროს გალიას მე შენ აგვისებ!
 რა სინარულით სულ ყოველ დილას
 საკენკს მოგიტან და წუალს ანკარას;
 შაქარს, თაფლის კვერს მე არ დაგაკლებ,
 ყოველ საღამოს გიამბობ ანაკს!
 მამ მოდი, მოდი, ჩემო ჩიტუნავ,
 და გაახარე მეგობრის გული!..

— ჩემო პატარავ, მეც-კი ძახარებს
 ტბილი აღერსი და სიუვარული,
 მაგრამ, იცოდე, ოქროს გალიას
 მე შირჩევნია ტყე გაუვალა



მთა-მინდორ-ველში მიუვარს ნავარდი,
 მიუვარს, რომ ვიყო თავისუფალი.
 დილის მზის სხივი მე გამაღვიძებს
 და დილის ნაში მასმევს თავის ცვარს,
 სადამოს მთვარე მიაძობს არაკს,
 ღამე ნიაფი დამჭქროლებს ნანას.
 შენს გალიაში, თუნდ ოქროსაში,
 მე ხომ ვიქნები დატუქვეებული,—
 ტუქვობაში-კი, ჩემო ზატარავ,
 ჩიტია მუდამ დაღონებული.

ნინო ნაკაშიძისა.



მარი ხარი.

იგაეი.




რი ხარი მუდამ ერთს უღელში ებნენ. ერთი იყო ღონიერი, მეორე—სუსტი. პირველი ეკვლეთვის უღელს თამაძად და ადვილათ ეწეოდა, მეორე—დიდი გაჭირვებით. რასაკვირველია, რამდენი სუსტი ხარი ამხანაგს უკან ჩამორჩებოდა, იმდენი მას მეურმის სახრე ჭხკლებოდა. იყო ასეთ ტანჯვა-ვაეებაში. ბოლოს მობეზრდა, შეწუხდა და უთხრა ამხანაგს:

— იწამე ღმერთი, შემიბრალე, ნუ მჩაგრავ შენი ღონით, უღელი წენარათ გასწიე, რომ ძეგ შეღავათი ღომეცეს და ამდენი ცემა თავიდან ავიტღინო.

— რა ვენა, — იტრუა ამხანაგმა, — მე რა შუაში ვარ, ძალიანაც მებრალეები, შენი შემწეობაც მსურს; მაგრამ ჩვენ ისეთი ხატრონი გვაუვს, რომ, ბევრიც რომ ვეცადო, შენი შველის ნებას არასგზით არ მოძცემსო.

ამას მეურმემ უური მოჰკრა; ურმიდან ჩამოვიდა, უღელს კადუნაცვლა. სუსტ ხარს გრძელი მხარი მისცა, ღონიერს მოკლე. მერე ამ უკანასკნელს მიუბრუნდა და უთხრა:

— შენ ამხანაგის შველა გინდა, მე ურმის ბინახე მალე მიტანა, აბა თავი იჩინე ხატრონი მოგიკვდეს, თუ გაწევა დაგიძლოსო.



ერთი ქილა ნალები.

ემო გვრიტებო, ეს ჰატარს ქილა ნალებით თქვენმა ბებიაშ კამოგივსაწათ. უთხროს კამდეღმა სანდროს და ნუცას:—დასსე-დით ჭკვიანათ, დაიჭით ეს კოვსები, რიგ-რიგათ ამოიღეთ ნალები და ჭამეთ.

— მადლობელი ვარ, თქვა სანდრომ.

— მეც მადლობელი ვარ, გაიქეოროს ჰატარს ნუცამ. ის უოველთუის ბაძაჲდა თავის ძმას, სანდროს, რომელიც სამი წლით მასსე უფროსი იყო.

კამდეღმა დაუდგა წინ ნალები ქილით და თვითონ მეორე ოთახში გავიდა. სანდროს მეტათ ბევრი ლაზარაკი უვარდა, ის ავიდა სკამსე, ასწია მადლა კოვსი და მოუყვა ნუცას ლაზარაკს.

— შენ კარგათ გეუბრება, არა, ჩემო ნუცავ, რომ როცა კამდეღმა გვითხროს: ნალები რიგ-რიგათ, თითო კოვსი ამოიღეთო — სცდებოდ. სომ იცი, რომ შენსე უფროსი და ჭკვიანი ვარ, ნალებიც შენსე მეტათ მიუვარს.

— მართალია სანდროვ, მართალია, თქვა ჰატარს ნუცამ, თან ეძმაკურათ შესედა თავის ძმას, თითქოს დიდი ვუ-



რადღებით უგდებს უურსაო და იმავე დროს ამოიღო ნაღები კოვხით და მიიტანა თავის ლამაზ ჰირთან.

— რადგან, განაგრძო სანდრომ, რომელიც ისე ვართული იყო თავისი ლაპარაკით, რომ ვერას ხედავდა, რადგან მე უფროსი ვარ, უფრო ჰკვირანი ვარ და შენზე უფრო მეტათ მიუვარს ნაღები, — უნდა მეტიც მეზგოს.

— აგრე, სანდრო, აგრე, უთხრა ცუდლუტმა ნუცამ და თანდათან მძის შეუმჩნევლათ აცარიელებდა ქილას.

— იცი, როგორ უნდა მოვაწუოთ ჩვენი საქმე, განაგრძო ლაპარაკი სანდრომ, — მე რომ ორი კოვხი შევჭამო, შენ ერთი გერკება.

— აგრე, სანდრო, აგრე, გაიმეორა კიდევ ნუცამ და იმავე დროს ამოიღო ქილიდან უკანასკნელი კოვხი ნაღები.

— აბა მიუყოთ ხელი! მე უნდა დავიწუო! და სანდრომ დიდი ამბით ჩაუშვა კოვხი ჰატარა ქილაში და დასე სეირს, ქილა ცარიელი დაუხვდა.

ტასო.

(ფრანგულიდან)



დიოგენი.

საბერძნეთში იყო ერთი ბრძენი, სახელათ დიოგენი. ის სხვებივით სახლში-კი არ ცხოვრობდა, მას ჰქონდა ერთი ძველი ბოჭკა და ის იყო მისი სახლი. დიოგენს ხშირათ უყვარდა თქმა: „კაცი იმდენათ უფრო ბედნიერია, რამდენათაც ნაკლები მოთხოვნილება აქვს და უბრალოთა ცხოვრობსო“.

იმ დროს საბერძნეთის მეფეთ იყო დიდი ალექსანდრე. დიდ ალექსანდრეს ბევრი რამ ჰქონდა გავონილი დიოგენზე და მოსურვა მისი ნახვა. მეფე მივიდა თავისი დიდებული ამალით. დიოგენი თავისი ბოჭკის წინ იყო წამოწოლილი და მზეზე თბებოდა. სრულიად არ მიაქცია ყურადღება დიდებულ მეფეს და მის მხლებლებს. დიდმა ალექსანდრემ უთხრა: „დიოგენ, შენი სასახლე ერთობ მცირეა და შენი ტანთსაცმელიც არაა შენი შესაფერი. მთხოვე, რაცა გსურს და შენს თხოვნას ავისრულებო“.


— „მე არაფერს არ ვსაჭიროებ“, მიუგო ბრძენ-

მა: „ჩემთვის სიკეთე თუ გსურს, მეფეო, პატარა მი-
ბეცაღე, მზეს ნუ მიჩრდილებო!“.

მეფე გააკვირვა ამგვარმა პასუხმა; მიხვდა, თუ
რა კეთილშობილი და უანგარო კაცი ყოფილა დიო-
გენი და უთხრა თავის კარის კაცებს: „მე რომ ალექ-
სანდრე არ ვიყო, უთუოთ დიოგენობას ვინატრებ-
დიო!“

ს. დათეშიძე.

(ნათარგმნი)



სელმწიფის ქალი.

ხალხური ზღაპარი.



ყო და არა იყო-რა, იყო ერთი სელმწიფე. ჭყავ-
და ლამაზი ცოლი და ერთიუ მსეთ-უნახავი ქა-
ლი. სელმწიფეს ცოლი მოუკვდა და ქალი ობლათ დარჩა.
ეს ქალი ძალიან ნაღვლიანობდა თავისი საყვარელი დედის
სიკვდილს შეძევ; ვერაფრით ვერ დახვიწვეს დედის სიკვ-
დილი, ველარ გამძნარულეს.

იფიქრს სელმწიფემ, იფიქრს და ბოლოს ასე გადაწყვი-
ტა: მოდი, მოვიყვან მეორე ცოლს რომ ამ ჩემ ქალს დე-
დობა გაუწიოს და არ დაძევაგროსო. თქვა და აასრულა:
სელმწიფემ შეირთო მეორე ცოლი.

დედინაცვალი ჯერ კარგათ ეძცოდა თავის გერს, მაგ-
რამ, როცა შეატყო ქმარს რომ ქალი მასზე მეტათ უყვარ-
და, შური აართო.

გავიდა კარგა ხანი. სელმწიფეს მტრები აქმალენ. მო-
ავროვა ამანაც ჯარი და წავიდა საომრათ. ომში წასასკ-
ლელათ რომ ემხადებოდა, მოინძო თავისი ცოლი და ასე
უთხრა: «აბა, შენ იცი, როგორც გაუფრთხილდები და არა-



ვის დამინაკვრინებ ჩემ ქალს; სომ იცი, უკვდავებასავით შე-
ვეურებ, მაგის მეტი არაფინა მუავს ჩემ ბედობაზე, მზე მა-
გაზე ამოდისო».

დედინაცვალს ამისი გაცონება-ღა აკლდა. «აბა, თუ მზე
მაგაზე ამოგდის და მამ ახლა მე ვიცო», თქვა თავის გულ-
ში დედინაცვალმა. გაიცილა თუ არა ხელმწიფე, დაიბარა
თავისთან ერთი კარის კაცი და უთხრა: «უნდა ფიცი მომ-
ცე, რომ რაც გიბძანო, ჩემი ბძანება ძირს არ დაუძოვო».
როცა კარის კაცმა ფიცი მისცა, დედოფალმა გერი თავის-
თან დაიბარა და უთხრა მას: «აბა, შვილო მოემხადე, უნ-
და ზღვის ზირს სასახლეში წავიყვანო და მოგალხინო, სომ
ჭინაზე, მამაშენმა სული ხელში ჩამებრა, შენი გართობა და-
მავალაო».

ქალიც მოემხადა და გაჭყვა. აქ დედინაცვალმა ჯერ რამ-
დენჯერმე გაახედ-გამოახედა ზღვაზე და მერე უთხრა: «შენ
ცოტა ხანს აქ დარჩი, შვილო, და მეც ამ საათში უკანვე
დავბრუნდები—შინ საქმე დამვიწეებიაო».

წავიდა დედინაცვალი და თან წაიყვანა რაც იქ მოახ-
ლეები იყვნ. დარჩა მარტო ხელმწიფის ქალი ერთი კარის
კაცის ანაბარა. როდესაც ქალი ამ ზღვას გადაჭყურებდა
და ფიქრებში იყო წასული, მივიდა იმასთან კარის კაცი და
უთხრა: «მე დედოფლისაგან მაქვს ნაბძანები, რომ ამ საათ-
ში უნდა მოკვლა, ზღვაში გადაგაკდო; ხელები-კი უნდა
დაგჭრა და დასარწმუნებლათ დედოფალს მიუუტანოვო».

ქალი შეესვენა: «მაშ თუ ასეა, ხელები დამჭერ, დედოფალს წაუღე და მე-კი ნულარ მოძლავ, წამიუვა სადმე, ერთ მიერუებულ ადგილას დამაგდე და ფიცს გაძლევ, რომ ჩემი ჰირიდან ეგ ამბავი არ ამოვიდესო».

კარის კაცს დაენანა ამისი მოკვლა და, როგორც ქალმა თხოვა, მარტო ხელები დააჭრა. მერე თითონვე შეუსვია ჭრილობები, წაიუვანა და უდაბურ ადგილას დამალა. მივიდა მერე დედოფალთან და კერის ხელები მიაჩთვა. დედოფალს ძლიერ გაეხარდა, დიდათ დასახიუქრა კარის კაცი; დაჭრილი ხელები-კი ბამბებში შეასვია და კოლოფში შეინახა.

ქალი დვას ტყეში მარტო და ტირის. ტირის, ტირის. რომ იმისი ცოდვით ქვატ-კი იწვის. ამ დროს ტყეში ერთი დიდებულისკაცის შვილი სანადიროთ დადიოდა. ერთი ხარი ირემი დაინახა და გამოედევნა. სდია, სდია ირემს და იმის დევნაში უცებ ამ ხელებ-დაჭრილ ხელმწიფის ქალს წააწედა. უმაწვილი ქალის დანახვაზე ჯერ შეკრთა, მერე შედგა და დაუწო ლაპარაკი. ქალმა ჰასუსი არ გასცა და თავი მოიშინჯა. ემაწვილს ისე მოეწონა ეს ქალი, რომ არ დახედა ამის სიმუნჯეს, შემოისო ცხენზე და ცოლათ წაიუვანა.

ამ ემაწვილის დედ-მამამ რომ ნახეს, გულს შემოეყარათ, ბევრი უძალეს: «რა შენი შესაფერია მუნჯი და ხელებ-დაჭრილი ქალიო». ემაწვილი მაინც თავის სიტყვასე იღვბა და შეერთო კიდევ ცოლათ ეს ქალი. ჯვარის წერის უძალ

ამ ქალმა ლაპარაკი გამოიჩინა და ისე შეაუვარა თავი თავის დედამთილ-მამამთილს, რომ ესენი სულ იმის მსესხ ფიტულობდნენ.

* * *

გავიდა ამას შემდეგ რამდენიმე ხანი. მეფე ომს მოიწია და შინ დაბრუნდა. მოიკითხა თავისი საუვარელი ქალი და იქ-კი აღარ იყო. ცოლმა მოასწენა: «როგორც შენ დამავალე, ისე ვეძებოდი: ზღვის-პირა სასახლეში მეჯდა, ცინძარე დღე დროს გატარებაში მეჯდა. ერთხელ ამინირდა— ნება მომე ზღვაში ვიბანოო. მე, აბა, ნებას როგორ მივცემდი. მაგრამ ის ერთხელ ფარულათ ჩასულიყო ზღვაში და დამხრჩვალყო. მთელი ქვეყნის მტურავეები დავახვიე და მე ის ქალი ვეღარ ვაპოვნინე. მას აქეთია ვხივარ ასე, უბედურათ და უნუგემოთ ვტირი. ნეტავი შინიდან კარედ ფეხიც არ გადადგა, თუ ეს ასე მოხდებოდაო».

ხელმწიფეს ამის გაგონებაზე გულს-შემოეყარა. ის იყო და ის,—ხელმწიფეს ისეთი ნაღველი შემოაწვა, რომ ღოგინათ ჩაკარდა. მოიღალენ მთელი იმ სახელმწიფოს ექიმები და იმას ვეღარა უშველეს-რა. ბოლოს, ვეხირებმა ჯირითი და თამაშობა გამართეს, ეგებ მეფემ მოიღოსინოსო. მოიწვიეს უველა კუთხიდან ვინც-კი კარგი და კარგი მოჯირითე ან მობურთავე იყო.

ხელმწიფემ, მართლან, მოიხედა, უკეთ შეიქნა და თამაშობამაც დიდხანს გასტანა. მოჯირითეებში უველასე მეტათ

თავი გამოიჩინა ერთმა ახალგაზრდად, ლამაზმა და მდიდრულათ ჩაცმულმა. სელმწიფემაც ამას უურბდლება მიაქცია, თავისთან დაიბარა და სასახლეში მიიპატიჟა. ამ დროს ამ ეძაწვილს შინიდან კაცი მოუვიდა და რაღაც წერილი მოუტანა. წერილის წაკითხვამ მეტათ განახარა ეს ახალგაზრდა; ბიჭს უბძანა: «სამახარობლო ჩემს კისერზე იუოს, ხოლო ახლანა მჯალიან, ცოტა ხანს აქ მომითმინე და მერე გაგატანა ზასუხსაო».

სელმწიფის ცოლმა რომ ეს ამბავი ნახა, მეტათ გაოცდა და მოიწადინა იმის გაგება, თუ ვინ უნდა იუოს ეს ეძაწვილი და ან შინიდან ასეთი რა სასიამოვნო ამბავი მოუვიდაო. წერილის მომტანი კაცი თავისთან დაიბარა და ჰკითხა: «ისეთი რა ამბავი მოუტანე მაგ შენ ბატონს, რომ ასე ძალიან ისიამოვნაო».— «კაჟიშვილი ეუოლა და ის ვახარეო», უთხრა კაცმა. «ვისი ქალი ჰქავს მაგ ეძაწვილს ცოლათაო», ჰკითხა ეშმაკობით დედოფალმა და თან, ვითომ, სამახარობლო ერთი ქისა ფული აჩუქა. ისიც მოუევა და რაც იცოდა, უველაფერი სათითათო ჩაუკენჭა: «ჩემმა ბატონის შვილმა თავისი საცოლე ნადირობის დროს ტყეში იპოვნა. თუმცა მხეთ-უნახავი სილამაზისაა, მაგრამ სელებ-დაჭრილია; მშობლები შერთვის ნებას არ აძლეუდენ, მაგრამ ეძაწვილმა თავს გამოიღო და თავისი სურვილი აისრულაო. ჯვრის წერის წინ ქალი მუნჯიც იუო; შემდეგ-კი ენაც ამოიღვა და ძალიან შეაყვარა თავი დედამთილ-მამამთილსაო»,



—და ასე დაწვრილებით უამბო ამ კაცმა ვკელაუფერი იმ ვა-
ჟის შესახებ.

ხელმწიფის ცოლს ენიშნა ეს ამბავი, ძალიან ეწეინა
და ამ კაცს უთხრა: «როცა შენმა ბატონმა წერილი მოგ-
ცეს შინ წასადებათ, მე მომიტანე: მინდა მეც მივულოცო
იმის დედ-მამას შვილის შვილის ყოლა და ჩემგან კაი სა-
ჩუქარს მიიღებო».

როცა ბატონმა წერილი გადასცა, ეს კაცი ხელმწიფის
ცოლთან მივიდა და მოახსენა: «აბა თუ წერილს გაძატან,
გიახლებიო». დედოფალმა უბძანა: «ცოტახანს დამიცადე, მი-
ნამ დავწერდეო». მსახურებს-კი უბძანა: «მაკ კაცს ზური მი-
ართვით და ღვინობი ბანკი შეაპარეთო». ისინიც სწორეთ
ასე მოიქცენ და ამ კაცს მკვდარსავით დაემინა. მაშინ დე-
დოფალმა ჩუმათ ამ კაცს წერილი ამოაცალა და მდივანს
დაავალა ისეთივე ხელით დაემხადებინა სხვა წერილი. ასა-
ლი წერილი ისევ დაბეჭდეს, როგორც ამოცლილი წერი-
ლი და მძინარე კაცს იმავე უბეში ჩაუდეს.

როცა კაცს გამოეღვიძა, დედოფალს წერილი მოსთხო-
ვა, მაგრამ დედოფალმა უბძანა: «ახლა შენ წადი, მე ვერ
მოვიცალე წერილის დაწერისათვის და მერე ჩემი კაცის
ხელით გამოვკსავნიო».

დაბრუნდა შინ ეს კაცი და წერილი მიუტანა. დედ-მა-
მამ წაიკისხეს და ელდა ეცათ.—შიკ ეწერა: «სანამ მოვალ,

ეკ ჩემი სელებ-დაჭრილი გომბიო ცოლი მანდიდან დაკარგეთ, თორემ ან თავს მოვიკლავ და ან სახლში აღარ დავბრუნდები. აქ გავიგე ეკ რა ქალიც ყოფილა, ქვეყანა შეუჯერებია თავისი ავი ქცევითა და სელებიც, თურმე, იმისთვის ჭქონია დაჭრილიო».

შეწუსდენ ძლიერ დედ-მამა, არ იცოდენ, როგორ მოქცეულიყვენ: რძალიც მეტათ უევარდათ და შვილის წყენაც არ უნდოდათ, იფიქრეს, იფიქრეს და, ბოლოს, ასე გადაწვიტეს: ახლათ დაბადებული უმწვილი ქალს კისერზე ჩამოჭვიდეს, რადგან ხელში ჭერა არ შეეძლო და იმავე ადგილს გაისტუმრეს, სადანაც ზირველში იყო მოყვანილი.

ჩავარდა ეს ქალი იმავე დღეში, როგორც ზირველათ: ჰერც უმწვილისთვის მოუწოვებია უხელობის გამო და ვერც ვერაფერი თავისთვის მოუხერხებია. ტირის, ტირის, რომ იმისი ხმა ცასა სწვდება. ვნახოთ, ამ ტირილში ჩაეძინა. ძილში ერთი თეთრ-წვერა კაცი გამოეცხადა და უთხრა: «მიდი მანდ რომ წებროა, სელები წებლში ჩაჭყავ და ნაშველი იქნებიო». ქალს რომ გამოეღვიძა, სწორეთ ასე მოიქცა. მკლავების წებლში ჩაყოფა და თითების გამობმა ერთი იყო; ისეთივე სელები გამოესხა, როგორიც წინათ ჭქონდა.

გაეხარდა ქალს, ღმერთს მადლობა შესწირა რომ საღსარო მიეცა ცოტათ მაინც ან უმწვალისთვის მოეკლო, ან თავის თავისთვის რამე ესრუნა.




გავიდა რამდენიმე ხანი. კათავდა ხელმწიფისთვის გამართული თამაშობა-ჯირითობა. ეველა წავიდ-წამოვიდა. მობრუნდა შინ ის ემაწვილიც, კითხულობს ცოლს, შვილს— რა ბმანებაა: არც ცოლი დახვდა, არც შვილი. როცა შეიტყო დედ-მამისაგან იმათი დაკარგვის ამბავი, ძლიერ გაჰკვირდა და შეწუხდა; გაეშურა საქებნელათ. მივიდა, საცა ჰირველათ ნახა თავისი ცოლი და მისს სინარულს სასღვარი არ ჰქონდა: დახვედრით სომ ცოლ-შვილი იქ დახვდა, ცოლს ხელები მოწიფნოდა; გადახვია დაკოცნა და მეტი სინარულისაგან ტირილი დაიწყო.

ამ დროს სანადიროთ გამოსულიყო თითონ იმ ქალის მამაც. ჰხედავს ქალს და თავის თვალებს არ უჯერებს, «რა გაკვირვებული მიუერებს», უთხრა ქალმა მამას: «მე შენი ქალი ვარ, ნუ თუ ვერა მცნობო?» გაოცებულმა მამამ მიუცო: «მე დამარწმუნეს, რომ ვითომ შენ ბანაობის დროს სღვაში დამსწივალყოფი». ამასედ მოუევა ქალი თავის ამბავს და ეველაფერი დაწერილებით უამბო. როცა თავისი თავ-გადსახვალის ამბავი გაათავა, აიღო ხელში გამხმარი ვაზის ნაჭერი და თქვა: «თუ ეს, რაც ახლა მე შენ გიამბე მართალი და უტყუარი იუოს, ეს გამხმარი ვაზის ნაჭერი ღვთის განკებით განედლდეს, თუ არა და მე ვიყო მის წინაშე დასნამავე და ცილის-მწამებელიო». ამ სიტყვებზე ვაზი მართლა განედლდა, ფოთოლი და მწიფე ყურძენი გამოისხა.

ქმარმაც ნამდვილათ მხოლოთ ახლა შეიტყო, თუ ვინც იყო იმისი ცოლი. სელმწიფეც, რასაკვირველია, დარწმუნდა და თავისი სიმეცა და ქალიც თავისთან წაიყვანა. შინ რომ მივიდა, თავისი ცოლი ცხენის კუდზე მოაბმევინა და ისე ათრევინა. შემდეგ იმ ვაჟის დედ-მამაც თავისთან დაიბარა, თავის ქალსა და სიმეს დიდებული ქორწილი გადაუსადა და სასელმწიფოც იმათ დაუმტკიცა.

ან—ჰან.



უჩიქანი დაგნივლა!



ა სინარული იყო ჩვენთვის შემოდ-
გომა! ვიღას აგონდებოდა სწავლა.
მოუთმენლათ მოველოდით უჩიქნის
დამწიფებას და ერთობ გავიმასოდით:
«როდის გვექნება რთველი, ნატავი ძალე დამწიფდეს
უუქნი!»

საჭმელი უჩიქნი მარობისთვეშივე გვექონდა სოღმე.
მამამ განკებ სანლის წინ ბაღში ჩაუარა ვაზი, რომ ზვარი
არ აგვეკლო.

მართალია ვეკლას ძალიან უეგარს უჩიქნი, მაგრამ ჩვე-
ნი საქმე რაღაც საოცარი იყო, ოღონდ უჩიქნი დაგვე-
ნახა, მეცადრე ბუღმური—სულ ერთიანათ გადავირეგოდით.

სუფრასე რომ უჩიქნის მოიტანდენ არ დავაცლიდით
გარეცხას ისე დავიტაცებდით.

ერთხელ მამამ გვიამბო, რომ ექიმები ზოგ ავათმოფობას
უჩიქნით სწამლობენო; ერთ მის ბიძაშვილს თურმე დღემი

ექვს-შვიდ კირჯანქა ეურძენს აჭმევდენ და იმას ისე შესისღე-
ბოდა ეურძენი, რომ თვალით დასანახავათ ესარებოდა. ჩემ-
მა ძმამ სანდრომ რომ ეს გაიგო კბილებს სულ ძაკვაგი და-
აწეებინა, იმას ვერ გაეგო რომ შესაძლოა ეურძენი შესის-
ღებოდა ვისმეს.

ჩვენი ძამა-ზაფეული სახლი ქართლში ქვიტკირისა იყო,
განიერი აივანი ჰქონდა ქვის სვეტებით. მის წინ გადამდელი
დიდი ესო კოლინდრით იყო შემკული, იქვე იდგა ძვე-
ლი, ახოვანი ნიგვზის ხე და მის გარშემო ნაძვის და
აკაციის ხეები. ესოც ერთ კუნჭულში ჩვენი ხელით გამარ-
თული ჰატარა ბოსტანი გვექონდა. მთელ დღეებს მე და ჩე-
მი ძმები ამ ესოში ვატარებდით, აქვე ვთამაშობდით, აქვე
ვეთხულობდით წიგნებს. ჩვენ მოჯამაგირე ტიმოთეს გავა-
კეთებინეთ ქოხი, და ამ ქოხში ვინახავდით ჩვენ სამუშაო ია-
რადს: ბარს, ნიჩაბს, უვაგილების სარწმუნოს და სხვას. ხეებ-
ზე ჩამოკიდული გვექონდა საქანელა. დროს ძალიან მხიარუ-
ლათ ვატარებდით, სძირათ ვაბტიყობდით მესობლის ბიჭებს.
ხართუთა და ძუვალი რომ შემოვიდოდა, მაშინ ჩვენი დები
ლისა და თამროც გვეწვეოდენ; ხელები, ტუჩები, ტანისა-
მოსი სულ აღისფრათ გვექონდა შედებილი და ამ წითელ
ფერს ადამიანი ვერაფრით მოაძორებდა ტანისამოსს. დედა
ძრიელ გვიწერებოდა, როდესაც დაგვინახავდა ამ გვარათ
მოთხუანულებს.

ვევლახე ადრე ხართუთა მწიფდებოდა, თუთახე დიდი



მარცვალი ჭკონდა და მის ხეებ-ქვეშ ფოფელთვის სისხლის ფერი გუბე იდგა, რადგან ფრინველები რომ კენკავდენ— ალისფერი წვეთები ძირს ჩამოდიოდა. მსუვალი უფრო გვიან შწიფდებოდა, საფხულის გასულს, მისი ეკლიანი ბუჩქები სულ ჩამავებული იყო მარცვლებისაგან, ხოლო ხელში რომ ავიღებდით, სიმწიფით გაიჭულიტებოდა ხოლმე და ალისფრათ შეგვიღებავდა თითებს.

ჩვენ ხილი არ გამოგველეგოდა, სექტემბრის დამდგეს შვინდიც დამწიფდებოდა. მისი ხეები ისე შეძკული იყო მარცვლებით, თითქოს ტოტებსე მარჯნის მძივები ჩამოუკიდნიათო. ახალი ნიგოზიც ძალიან გვიყვარდა, თუბც ძნელი იყო მისი დაკუჭვა. სიცლით და კიუნით ჩამოვაურევი-ნებდით კაკლებს, დაკროლავდით, გავტენდით კაკალს და ამოვიღებდით რძესავით კემრეელ ნაფოფს. მაგრამ ძალიან ძნელი იყო მისი დაკროლვა, წენგო ხელებს გვიღებავდა და კარგა ხანს მათ არ შორდებოდა წენგოს ფერი. ხშირათ ვანოს თითებსე შევატუობდით, რომ ნიგოზი უჩვენოთ ჩუმათ უჭამია. ეველასე სასიამოვნო-კი არა თუ ჩვენთვის, მამასთვისაც და მთელი ოჯახისთვისაც ყურძნის დამწიფება იყო, რადგან ღვინის შემოსავლით გვედგა სული.

რომ შევხედავდი ამ ქარვასავით ვკითხვ სავსე მტკვნებს მამაკონდებოდა რამდენი ჯაფა და ამაგი ესაჭიროება ვანის მოვლას.

ვინც მოინდომებს ზვარის ახლათ გაშენებას, როგორც

შამახიძე მიაძხო, შემოდგომასევე მიწა კარგათ უნდა გადა-
 აბრუნოს, რომ სამთარში ქარმა გაუაროს და დაბილდეს.
 მერე გასაფხულზე ჩაჭერიან ვაზს, ვაზი ელორტებს გამო-
 უშვებს, მერე ეს ელორტები ჰატარა ვაზათ იქცევა, ჰატარა
 სარებს შეუღამენ. ისხამს ფოთლებს, კვირტებს, ევაფილს,
 ისრიმს, რომელიც ეურძენის მტევნათ ხდება. უჰ! რამდენი
 ჯაფა სდომებია რომ იცოდეთ ვაზის მოუვანას! ხან გო-
 გირდს შეასხამენ ვაზს, რომ მავნე მწერებმა არ გააფუჭონ,
 ხან გაფურჩქენილ ვაზს ფოთლებს მოაჯლიან, რომ მზე კარ-
 გათ მიუღკეს მტევნებს და ძაღე დამწიფოს, დაამქროს.
 მაგრამ აქაც საჭიროა მცოდნე ხელი, თუ ფოთლებს მეტს
 ააჯლიან მზე ადვილათ დასრუკავს ეურძენს. საჭიროა ავ-
 რეთვე სარების შეეწება დროზე, თორემ მტევნები მიწასე
 დაწვება და დაღვება. ძირს დაწოლილ მტევნებს სარები
 დროზე უნდა შეუეწათ. ამას ჩვენც კარგათ ვაკეთებდით,
 კავივლიდით თუ არა სვარში, მაშინვე შევამჩნევდით დაწო-
 ლილ ვაზებს და სარებს შეუეწებდით.

— ვანო, რას დაგიღია ჰირი! კიდევ გაუარე ეურძენს
 და სარი არ შეუეწე!—დაუევირე ერთხელ მე, როგორც
 უფროსმა ჩემ უნჯროს მძას და შევდექი ერთ მიწასე დაწო-
 ლილ ვაზთან.

— რას მიუვირი, რომ მიუვირი!—მიზასუნა წეროძით
 ვანომ—შენ რაღას მიკეთებ.

— ჩვენმა ძმებმა ხელ-ანლათ ჩხუბი გამართეს,—თქვა


დინჯათ ლიხამ, რომელსაც ჰატარა თამრო სელ-მოკიდებული მოჭკვანდა. — გზა მოგვეცით, ჩამოგვეცალეთ.

— მობრძანდი, მობრძანდი, ჩინეთის დედოფალო — ვუთხარი დაცინვით.

— ოჰ, ჩინეთის დედოფალო, ჩინეთის დედოფალო! — გაიძეოდა ვანომ, რომელსაც უყვარდა უფროსების მიბამვა-ლიხამ ხმა არ გაგვცა, მხრები აიწია და ამახათ გაიარა.

ურძენი შეთვალდა, წრეულს კვლავინდელზე ადრე გვექნებოდა რთველი. ვენახს ქურდებისაგან კაი დაცვა უნდოდა, ტიმოთე და სხვა მოჯანაბირეები მარტო ვერას გააწეობდენ და ჩვენი მეგობრები მურია და თოლია წავკვართვს, ვენახს მიუყენეს ყარაულათ, ორივე ტიმოთეს ქოთან დააბეს და ისინი შორიდან ვენახთან გამკლელს ვისმე თუ დაინახამდენ გაბრახებული ასტეხდენ უეფას.

რთველის მოლოდინში ჩვენც ახალი საქმე გამოგვიჩნდა. ნასუფრალიდან ვაგროვებდით ქათმის, ცხვრის და სხვა ძველებს და მეგობრებს მურიას და თოლიას ვუშიდავდით ჰირის ჩასატეხარუნებლათ. ძაღლებიც დაგვინახავდენ თუ არა სინარულით წამოუტუნებდენ, ხტოდენ, ლამობდენ ჯახვის გაწევეტას და ალერსით კუდს იქნევდენ.



ქონის წინ მოჯამავიერები საღამო ჟამს ცუცხლს დაანთებდნ სოლმე ვახშმის გასაკეთებლათ; ღამე ცუცხლი სასიამოვნო სანახავი იყო, მეტადრე როდესაც ფიხს ტკაცა-ტკუცი გაჭქონდა. ყარაულები ხანდახან თოფებს ცლიდნ, რომ შეეშინებინათ ქურდები და მაწანწალა ძაღლები, რომელთაც ძალიან უყვართ ეურძენი.

ვახი ველარ იმაგრებდა მტევნებს. შვენერი სანახავი იყო სხვა-და-სხვაფერი ეურძენი. ზოგ ვახს რვა-ცხრა მტევანი ება! ბევრი სხვა-და-სხვა ეურძენია, მაგალითათ: თითა, ბუღმური, მწვანე, საფერე, რქა-წითელა, ქიშმიშა, ბუსა-ეურძენი და კიდევ ბევრი სხვა.

დავიწყეთ რთვლისთვის მზადება. საწნახელის სახურავი დაათვალიერეს, წვიმა არ ჩასულიყო, მერე განსუფთავეს და ლულები გაუწმინდეს, თაღარი გარეცხეს, აუარება გოდრები, საკრეფლები, კალათები და რუმბები დაამზადეს.

მარნის კარებიც გააღეს, ქვევრები ამორეცხეს, არც ერთი ქვევრი მოუმზადებელი არ დატოვეს, რადგან დიდი იმედი იყო, რომ ღვინო ბლომით მოვიდოდა.

დადგა ის დღეც, როდესაც მამამ გამოგვიცხადა: «ხვალ რთველი გვექნება».

— რთველი გვექნება, რთველი, გავიმახლოდით სინარულით. ვანო სულ ასკინკილას უვლიდა.

მეორე დღეს ირავრავა თუ არა, მზე ჯერ ამოსული არ



იყო, რომ ჩვენ, ძმები, ავიძალებით. ტანისაშობისი ჩუმათ ჩავიცვით და სასლიდან ფეს-აკრეფით გამოვედით.

საუცხოვო ენკენისთვის დილა იდგა, ფრინველებს ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ—ირთვებოდნენ, იკაშმებოდნენ და მუქთი უურძნით ნადიმობას აპირობდნენ. ჩვენ გავეშურეთ ვენახში, მამა იქ დაგვიხვდა. ეველა მოჯამაგირეები ათიოდე სოფლის დედაკაცების დანძარებით კიდევც შესდგომოდნენ უურძნის კრეფას. ეველას ხელში დანები ელავდა. ქალები მოჭრილ მტევნებს სიცილ-კასკასით კალათში ალაგებდნენ და როცა კალათს აავსებდნენ ხოლმე ბიჭებს გადასცემდნენ ცოდობი ჩასაყრელათ. იმათაც მაშინვე საწინახელში მიჰქონდათ.

ჩვენი საწინახელი კარგა დიდი და ორათ გაუოფილი იყო. ერთ ნაწილს გაავსებდნენ სულ თეთრი უურძნით, მეორეს საფერეთი, ზედ შედგებოდა ხოლმე ორი ფესშიშველა და დაკარწასებული კაცი და დაიწებდნენ უურძნის ჭელეტას ფენით. ტბილი გადიოდა მილში, მილიდან იქვე ზირ-დაღებულ თალარაში, საიდანაც გადილებდნენ ხოლმე ჩაფებით და რუძებით სხვა ქვევრებში. ტბილს მესამე დღეს ჩაუერიდნენ ჭაჭას, აღუღლებოდა და დუღილს შემდეგ, როცა დაიდუღებდა, მკავე მაჭარი ინდებოდა, მერე კიდევ გადილებდნენ სხვა ქვევრებში და წმინდა ღვინოთ გადიქცევოდა. კაი უურძნიდან გამოდიოდა კაი ღვინო, მდარე უურძნიდან—მდარე ღვინო. თეთრი ღვინო და წითელი უურძენსეა დამოკიდებული. რომ კაი წი-

თელი ღვინო გამოვიდეს საფერეს უძვრებიან. საფერეს ეძახიან ერთგვარ წითელ ეურძენს, რომლის კანი, მუქ-წითელ წვეწვებს იღებს და ღვინოს წითლათ ღებავს.

მე და ჩემი ძმები სხვებსე ნაკლებათ არა ვმუშაობდით, მხოლოთ ვანოს ძრიელ ხშირათ. ზირთან მიჭქონდა ეურძენის ძარცვლები.

მზე კარგა ძაღლს იყო, რომდესაც დედჩემი და ლისა მოვიდენ. ლისამაც მიჭყო ხელი მუშაობას და ძალიან ძარდათ ჭრიდა მტევნებს.

მუშაობა ორჯერ შევაჩერეთ: ერთი საუხმისთვის, ერთიც სადილისთვის. თუმცა მზე გვწვამდა და ლისა და ვანოც გაგვეძენ, დიდი ხნით არ შეიწუსეს თავი. მე და სანდრო კარგა ხანს ვმუშაობდით.


მხესაც თითქოს მობეზრდა მთელი დღე ძაწის გახურება. თანდათან ძიწს დაეშვა, ოდნავ სხივებს ჭყენდა ვახებს. მერე სულ მთის იქით მიიძალა. დაღამდა, დაბნელდა. აი, ერთი ვარსკვლავი გამოჩნდა, მერე მეორე, მეორეს მესამე მოჭყება. დაღვა წუნარი, დამშვიდებული დამე.

ეველს წავიდ-წამოვიდა, ეველას ადრე უნდა დაემინა, რომ დილასე ისევ საქმეს შესდგომოდა. ჩვენ დიდ სვარში რთველი რამდენსამე დღეს გრძელდებოდა.



სახუმარო გასართობი.

ბიძია ვასილი თავისი ძმისწულებით გამობრძანდა სასეირნოთ-
ყმაწვილები გარშემო ეხვეოდნენ ბიძიას, თვალს არ აშორებდნენ.



უცბათ ამოვარდა ზენაქარი, ბიძია ვასილს ქუდი მოგლიჯა და
გააქანა მინდორში.

— ვაიმე, ვაიმე, ახლა რაღა მეშველება! დაიკენესა ბიძიამ.



საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს

- ნუ სწყუხარ, ბიძიაე! ქუდს ადვილათ დაეიჭერთ!— და ყველა ერთათ გამოუდგა ქუდს,
 — ნელო, ნელო, ნუ გარბინართ აგრე!— მაგრამ ვილა უგდებს ყურს. უცებ ბავშვები ერთათ დაეცნენ ქუდზე.
 — ქუდი პირველათ მე დაეიჭირე!..
 — არა, მე!
 — მე, მე, მე!
 — ზომე, მე წავეულებ, ბიძიას!



საბრალო ქუდი, დახეთ ერთი რას დაემსგავსა...





№ VII—VIII უტურნალ „ჯეჯილის“ ამოცანებისა

I განყოფილება.

ზმა: თამარი, ნინო, ქეთევანი, დავითი.

შარადა: ათ—ონი.

ამოცანები წუმწუმებისაგან:

$$1) \begin{array}{|c|} \hline \square \\ \hline \square \\ \hline \end{array} \quad 2) \begin{array}{|c|} \hline \square \\ \hline \square \\ \hline \end{array} \quad 3) \begin{array}{|c|} \hline \square \\ \hline \square \\ \hline \end{array}$$

(ეს ამოცანები გამოიცნო სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფემ იოსებ ნოზაძემ და მიიღო საჩუქრათ „ბუნება სურათებში“).

II განყოფილება.


აკროსტიხი: სოფიო ციციშვილი.

შარადა: ისარი.

სახუმარო ამოცანები: 1) ოც-და-ათი ასე გაიყოფა ხუთზე:
 $XXX : V = 222.$


2) ოცი ასე გამრავლდება ოთხზე:
 $XX \times IV =$ ჯერ $X \times I = 10$
 $X \times V = 50$

შედგება 1050





სონა ციციშვილის ქალის
სახსოვრათ.



ველა სიკედილის "შეილი" ვართ,
შევი დღე გველის ყველასა!..
რას აეყოლივართ ამ სოფელს
და მისსა „ელა-მელასა?“

დღესა ვართ, ხვალ არ ვიქნებით,
ეს ხომ მსოფლიოა წესია?
სხვა მომკის და სხვა წაიღებს,
რაც ჩვენთვის დაგვითესია!..

მაგრამ სიკოცხლე ტკბილია,
ხარბი და გაუმადლარი;
უკუღმართ ნდომა-სურვილის
არ გააჩნია საზღვარი.

დღეს ამას მოსდევს, ხვალ იმას
და თაეს ატყუებს ამითა.
ის აღარ ახსოვს, რომ წლობით
შეძენილს ჰკარგავს წამითა!..

—
კაცს იმას ვეტყვი, თავისას
ვინც არ იწუნებს კერასა
და ხარბი თვალით არ ჰყვედრის
უკუღმართ ბედის-წერასა,

—
შეჰყურებს შემოკმედებას
სახითა მზიარულითა,
და სიყვარულსა მოძმეთა
ატარებს საესე გულითა.

—
ვიცნობდი ჩვენშიც დობილათ
ამ გვარსა ადამიანსა:
სათნოსა, ქვეყნის მოყვარულს,
წინ-დახედულსა, ჰკვიანსა!..

—
სამშობლოს სამსხვერპლოზედა
ტკბილათ დამდები წელილისა,
ის იყო დაუფიწყარი
სოფიო ციციშვილისა!..

სგაქი.



სპილენძის სახთი.*)

II



აიარა ჩვიდმეტმა წელიწადმა, მერე რანაირმა წელიწადმა! ამ დროის განმავლობაში საფრანგეთი სულ ომებში იყო გართული და ყველგან იმარჯვებდა. ჯერ საფრანგეთის რესპუბლიკის ჯარებმა განდევნეს მტრები სამზღვრებიდან, მერე-კი გამოჩნდა ნაპოლეონი. ნაპოლეონმა შორს გაღიტანა ომი და არამც თუ დაიარსა უდიდესი სახელმწიფო, იმპერია, არამედ სხვა პატარა სახელმწიფოებიც აიღო და გადასცა ისინი, როგორც სამეფოები, იმ პარებს, რომელნიც მასთან ძლიერ დაახლოვებულნი და მისი ერთგული ქვეშევრდომები იყვნენ. იმ დროში შესაძლებელი იყო გენახათ სამეფო ტახტზე ისეთი პირნი, რომლებიც წინათ უბრალო ჯარის კაცებათ იყვნენ, და დამსახურება-კი დადი მიუძღოდათ სამშობლოს წინაშე. ასე მიდიოდა და იცვლებოდა დრო და ჟამი, ათასი ამბები ჰხდებოდა დედაქალაქის ზურგზე და განსაკუთრებით ვეროპაში, სოფელ პანტანდრეში-კი ამ დროის განმავლობაში მაინც და მაინც არაფერი საყურადღებო ცვლილება არ მომხდარა.

„დედაქალაქის ზურგის სასტუმრო“-ზე წინანდებურათ ჰბრწყინებდნენ ოქროს ვარაყიანი ასოები; ეკლავანი ჭყორის შტო-კი, როგორც ამ ჩვიდმეტა წლის წინეთ, მოწყენით ჰქანაობდა ქვრივი მიტენის დუქნის წინ.

1803 წ. ერთ ზაფხულის საღამო ხანს, მზის ჩასვლის დროს, მოხუცი მიტენის ყურადღება მიიპყრო სადღესაწაულო ტანისამოსში გამოწყობილი ხალხის დადმა გროვამ, რომელაც ბაზრის მოედანზე ირეოდა.

*) იხილეთ „ჭიჭილი“ № VII—VIII.



— რა ამბავია? — ჰკითხა მიტენმა ერთ გამვლელს.

გამვლელმა უპასუხა, იმპერატორმა ერთ თავის მარშალთაგანს ნეპოლას სამეფო გვირგვინი უბოძა და ახლა ახალი მეფე ნეპოლისა, რომელიც პარიზიდან მიემგზავრება თავის სამეფოში აქეთ გაივლის ბევრს აღარას დაიგვიანებს და საცა გამოჩნდება კიდევ თავისი ამალით.

ხალხის გროვა მოუთმენლათ იცდიდა. მედუქნე ლეონარდმა დააწყო სკამები თავის ლუქნის წინ და მიუბრუნდა თავის ნაცნობებს:

— აი, აქ დაბრძანდით, დამიჯერეთ. ნამდვილათ არ ვიცი ის წარჩინებული მოგზაური შეისვენებს თუ არა პონტ-ანდრეში, მაგრამ, თუ შეისვენა, რასაკვირველია მარტო ჩემი სახლი იქნება ღირსი მიიღოს ამისთანა პატივსაცემი სტუმარი. არ მგონია, რომ მიტენი ეღიროსოს ამგვარ სტუმრის სამსახურს, — დაცინვით დაუმატა მან.

— აი, მობრძანდება კიდევ! — დაიყვირეს ამ ღროს ბავშვმა.

გამოჩნდა კარგა დიდი და განიერი ეტლი, რომელშიაც ოთხი ცხენი იყო შებმული. ეტლის გარშემო ბრწინვალე ამაღა მოაქვნიებდა ცხენებს. ბაზრის მოედნის შუაგულს მიაღწია თუ არა ეტლმა, მაშინვე შეჩერდა. თითქმის ოქროში ჩამჯდარი კაცი გადმოვიდა ეტლიდან და გაემართა „დედამიწის ზურგის სასტუმროს“ პატრონისკენ. ლეონარდს სიხარულით გულმა დაუწყო ფანცქალი და დიდი მოწიწებით მიიბრინა მეფესთან.

— რას მიბრძანებთ, თქვენო დიდებულებავ?

— მე მსურს, — მიუგო ხელმწიფემ, რომლის ტანისამოსიც თავით-ფეხამდე ჰბრწყინა და რომელიც საშინლათ მოიღუშა — მე მსურს დამიბრუნო ჩემი საათი.

— საათი? რა საათი? — დაეკითხა გაშტერებული მედუქნე.

— რა საათი და სპილენძის საათი, რომელიც შენ ისე შეუპოვრათ წამართვი ამ ჩვიდმეტრ წლის წინეთ გიროთ. გახსოვს თუ არა ეს ამბავი, გაუმაძღარო აღამიანო?

დიაღ, დიაღ! ლეონარდს ცხადათ მოაგონდა ახლა ეს ამბავი და თავზარ-დაცემულმა მან ნეპოლის ბრწყინვალე მეფეში ის საბრალო მგზავრი იცნო, რომელსაც ოდესმე მთელი თავისი ავლადიდება პირსახოცში გახვეული მიჰქონდა თან.

— ჩემი საათი!—განიმეორა მიუხრატმა, —სად არის ჩემი საათი?

მეტი ღონე არ იყო, ლეონარდი უნდა დამორჩილებოდა მეფის ბრძანებას. მან მოიტანა სწილენძის დამტყრეული საათი და მიართვა მეფეს. მეფემ გამოართვა, მიუბრუნდა თავის ამაღლას და ბრძანა:

— მიეცით ამ საცოდავს შვიდი სუ!

შემდეგ მიუხრატი მსწრაფლ გაბრუნდა უკან, გაემართა მიტენის შენობისკენ და დაეშვა მის კარებთან მდგარ სკამზე. ამ გარემოებამ სრულებით გააშტერა საწყალი მიტენი. როგორ წარმოიდგენდა თუ ის, მიტენი, ერთი საბრალო ქვრივი დედაკაცი ერთ დღეს ნეაპოლის მეფის სტუმრობას ეღირსებოდა, მისი სამსახური ხვდებოდა წილათ!

— აბა, მომიტანეთ თუ გაქვთ რამე დასალევი, გასაგრილებელი. — უბრძანა მეფემ დუქნის პატრონ ქვრივს.

უკანასკნელი კოჭლობით მივარდა შკაფს, გამოიღო იქიდან შუშის ჭურჭელი ალუბლის წყლითა, ხელის კანკალით გაავსო ამ სასმელით ჭიქა და მიართვა მიუხრატს.

მიუხრატი ღიმილით ოდნავ შეეხო ჭიქას თავისი ტუჩებით, მაშინვე ადგა, გაუშვირა მიტენს მძიმე, თულებით გატენილი ქისა და თანაც ღიმილით უთხრა:

— მე თქვენ ამას იმიტომ გაძლევთ, რომ განაახლოთ თქვენი დუქანი, თორემ როგორღაც მეტათ დაძველებულა და გაშავებულა. შეაღესინეთ თეთრათ და ამ ეკლიან ხის ტოტის მაგიერათაც კედელზე შემდეგი სიტყვები დააწერინეთ: „აქ დალია წყალი ნეაპოლის მეფემ“.

მიუხრატი შევიდა თავის ეტლში და ცხენები მსწრაფლ გაჰქანდნენ. ამაღაც მეფეს ეტლს უკან გაედევნა ცხენებით, და რამოდენსამე წუთს შემდეგ აღარც ეტლი და აღარც ცხენები აღარ ჩნდნენ, მხოლოდ რაღაც მტვერი ადიოდა ღრუბელსავეთ შორს, შარა გზაზე, რომელზედაც კიდევაც ბინდი ეშვებოდა.

გონება-დათანტული ლეონარდი დიდხანს იდგა გაშტერებული ერთ ადგილს.

აღ. ბეშქენაძე

უგულო გავუი.

(ძოთხრება მონგოეჭისა).



I

ადილობიდან დაწყებული კოკისპირული წვიმა ასწავს და დაულალავთ რწყავს სუსსექსის კომტეს*) უერგემის სამრეელოს მინდვრებს და ბაღებს, სახლების კედლებს და სახურავებს.

მას აქეთ რაც სერ-ვეერარდ დენკომბის სახლში სადილი გაათავეს და სუფრა ააღაგეს, ორი ხუჭუჭი თავი ერთ დიდ ფანჯრის მინას ეკვრის და ორი რწყვილი მოვლევარე თვალი წყენით შეჩერებია შავი ღრუბლებით დაფარულ ცას.

რა უბედურებაა ეს წვიმა! ბავშვები მამას მოვლიან, მათ დაჰპირდენ სადგურზე წახვალთ მის შესაგებებლათო; მათი მომვლელი ქალი ეირკინისთვის კაბრიოლეტში ადგილი არ იქნებოდა, ამიტომ, თუ ბავშვები სიტყვას მისცემდენ, წყნარათ ეიქნებით, არ ვიეშმაკებთ, ბორბლებზე არ მოვინდომებთ შეპორტყებას, არც გადმოვხტებით, სანამ კაბრიოლეტი არ გაჩერდებაო,—მათ მართო გაუშვებდენ, მეეტლე პეტრეს ამარა. რა მშვენიერება იქნებოდა! ახლა-კი—წვიმს!

*) ინგლისი დაყოფილად ნაწილებათ, რეკრატ რუსეთი გუბერნიებათ. თ.თ.თ. ამ ნაწილს კომტე ქქვად.

რამდენსამე ხნის ვადით ვირჟინის ზედამხედველობისაგან განთავისუფლება ბავშვებს უსაზღვრო ბედნიერებათ მიაჩნდათ. მათი აზრით ვირჟინი ქვეყანაზე მხოლოდ იმისთვის იყო გაჩენილი, რომ ყოველი მათი მხიარულობისათვის ხელი შეეშალა, და ყოველი მათი დროს გატარება ჩაეფუშა თავისი მუდმივი ფრანგული შენიშვნებით: Ne faites pas ceci! Ne faites pas cela! (ნუ შევებით მაგას! მაგას ნუ შევებით!)

მართალი რომ ვთქვათ, ვირჟინი კეთილი და პატიოსანი ქალი იყო, მაგრამ, საუბედუროდ, ნამეტანი ნერვებ-აშლილი. ეს საკვირველი არ იყო: მას ჩაბარებული ჰყავდა ორი ბავში, რომლებსაც დედა არ ჰყავდათ და რომლების მამაც ხშირათ არ იყო მათთან, ამიტომ ის მუდამ გულ-გადმოტრიალებული და გულ-გახეთქილი იყო, მით უფრო, რომ ორივე მისი გაზრდილი მხიარული და მოუსვენარი, გამბედავი და უშიშარი, დაუდგრომელი ეშმაკები იყვნენ.

უნცროსს, ხუთი წლის ვილლის, კიდევ გვარიანათ ეჭირა თავი, როცა ძმას მოშორებული იყო, მარტო მას, როგორც იქნებოდა, კიდევ გაუძლებდა ვირჟინი, მაგრამ მისტერ ჯორჯი! მისტერ ჯორჯი!—ამ სახელის გაგონებაზე ვირჟინი მხოლოდ ოხრავდა და თვლებს ზეცისკენ ააპყრობდა ხოლმე.

ჯორჯის და ვილლის მამა, სერ ევერარდ დენკომბი, პარლამენტის წევრი იყო, იმიტომ იმ თვეების განმავლობაში, როცა ლონდონში პარლამენტის სხდომები იყო, შეილები მას მხოლოდ შაბათიდან ორშაბათამდის ხელადენდნენ.

ყოველ შაბათს, ჩამოვიდოდა თუ არა სერ ევერარდი ლონდონიდან, ვირჟინი დაახვედრებდა მას ჯორჯის ამბებს: ჯორჯი ყოველ ხეს წვეროზე ექცევა; ჯორჯი წარმოუდგენელ სიმაღლეებიდან ძირს ხტება; ჯორჯი საჯინიბოში შეიპარა და ცხენებს კინალამ თავი გაასრესინა; ჯორჯი ჯაჭვით დაბმულ დიდ ძაღლთან ერთად მის პატარა სახლში შეძერა და დაიმალა, ძლივს ვიპოვეთო... ერთხელ კინალამ ურემმა გადაუარა, მეორეთ—კინალამ ტბაში ჩაეარდაო... ერთ

თი სიტყვით ამ პატარა ეშმაკის ცულლუტობას ბოლო და სამზღვარი არ ჰქონდა.

ყველაფერზე უფრო ვირჟინის ის აწუხებდა და აბრაზებდა, რომ ჯორჯის გამო პატარა ვილლისაც ბევრი უსიამოვნება ხედებოდა თავზე. რასაც ჯორჯი შეებოდა, ყველაფერში ვილლიც ჰბაძედა, სადაც ჯორჯი მიდიოდა, იქ, უსათუოთ, ვილლიც კულში უნდა გასდევნიებოდა.

— ვილლის ჯორჯის აყოლა რას არგია? — ღღეში ასჯერ იმეორებდა სასოწარკვეთილებით ვირჟინი. — ის ხომ სულ სხვა არის, ჯორჯს არათურში არა ჰკავს!

მართლაც ვილლი სულ სხვა იყო, მართლაც არათურში არ ჰგავდა ჯორჯს. ჯორჯი ჯან-სალი და მრთელი, მაგარი ბავში იყო, ის არაოდეს არ ცივდებოდა, არათური ავთმყოფობა მას არ ეკარებოდა, ვილლი კი მეტათ ნაზი და უძლოური იყო, სუსტი გული ჰქონდა და ყელიც ხშირათ ტკიოდა; მას ძალიან გაფრთხილება ეჭირებოდა რომ ან ცივი ქარი, ან ნოტიობა არ მოჰხვედროდა, ან ნამეტანი არ დაღალულოყო.

ბუნებით წყნარი, მორიდებული და ალერსიანი, ვილლი ერთი იმ ბავშთაგანი იყო, რომლებიც ყველა უფროსებს მოწონს და უყვარსთ; მამასაც ის გაგიჟებით უყვარდა. თავის სიცოცხლეში დენკომბის ცოლი ხშირათ უსაყვედურებდა ხოლმე ქმარს უმეილების ამორჩევას.

— ვილლი ისეთი ალერსიანი ბავშა! — თავის გასამართლებლათ უპასუხებდა ხოლმე სერ ვეერარდი და სიყვარულით დაუსვამდა ხელს პატარა ოქროსფერ თმა-ხუჭუჭა თავს, რომელიც ნაზათ ეკვროდა მას გულზე. — ჯორჯის ხელში აყენასაც ვერ მოუხერხებ, ისეთი მოუსვენარია, სულ იქით-აქეთ იწევს, სტოლებზე, სკამებზე მიძვრება... ერთ ადგილს ვერ დააყენებ!

— იმიტომ რომ ვილლიზე სამი წლით უფროსია, — უპასუხებდა ცოლი. — როგორ შეიძლება მაგხელა ბავშს ადამიანმა მოთხო-

ეოს, ისე წყნარათ იჯექი როგორც ორი წლის პატარა ზისო? მაგრამ, თუმცა მოუსვენარი და ეშმაკია, მაინც ისიც ალერსიანი, მოფერება და მოსიყვარულება იმანაც იცის!

— შეიძლება! მაგრამ დამეთანხმე რომ ქვეყანაზე ყველაფერზე სასიამოვნო ის არის, როცა ასეთი ერთი ნამცეცა არსება გულზე გეკვრის და მთელი საათობით წყნარათ გიზის კალთაში! — თავისას იმეორებდა ქმარი.

ცოლი აღარას უპასუხებდა ხოლმე, ის მხოლოდ დაფიქრებით მიაპყრობდა თვალებს უფროს ვაჟს, რომელიც სამი წლის განმავლობაში მისი ერთათ ერთი შეილი, ერთათ ერთი იმედი, ერთათ ერთი ბედნიერება იყო. მას მოსწონდა ჯორჯის ვაჟკაცური ხასიათი, მისი მუდმივი მოუსვენრობა და მუდმივი მხიარულობა. მისი იშვიათი და მოულოდნელი მოფერება მას იმდენათვე ასიამოვნებდა, როგორც ერთი ნამცეცა ვილლის მუდმივი ალერსი.

ის ბედნიერათ გრძნობდა თავს, როცა ჯორჯი გიჟივით შემოვარდებოდა ხოლმე ოთახში და ერთი დიდი ნახტომით მის კალთაში გაჩნდებოდა! იმ დროს ბავში ხშირათ ან სკამს წამოაქცევდა ხოლმე, ან დედის საკერავის ყუთს სტოლიდან გადმოაგდებდა და ყველაფერს, რაც შიგ იყო, დააბნედა, ან ტალახიანი წალღობით დივანს გასერიდა, მაგრამ... რა უშავდა ყველა ამას? მაგიერათ რა მხურვალეთ ჰკოცნიდა ის ამ დროს თავის დედას, რა მაგრათ ჰხევედა მას კისერზე თავის პატარა ხელებს!

დედამ კარგათ იცოდა რა მხურვალე და მოსიყვარულე გული ჰქონდა ჯორჯს, თუმცა შეხედულობით იმისთანა უდარდელი და დაუდეკარი ბავში სხვა ქვეყანაზე არ მოიპოვებოდა. ის ყოველთვის იფიწყებდა დედის ყოველ დარიგებას და თავის ყოველ დაპირებას, მაგრამ თვითონ დედა-კი არაოდეს და არსად არ აფიწყებოდა.

რა უბედური იყო ის დღე ჯორჯისთვის, როცა მას დედა მოუკვდა, ის დღე, როცა დედას ჩაღრმავებული, დიდი თვალები სამუდამოდ დაიხუჭა, როცა მისი თეთრი, ნაზი ხელები სამუდამოდ გაცივ-

და და გაყინდა. ჯორჯმა იგრძნო, გაიგო, ეს თვალები საყვარულით აღარაოდეს არ შემომხედიავენო, იგრძნო, ეს ხელები ნაზათმაზე აღარაოდეს არ დამესმებიაანო—და მწარე სევდამ შეუხუთა გული და სული...

სერ ევერარდი, მწუხარებისაგან მთლათ გაბნეული, პირველდროს თითქმის ევრც-კი ამჩნევდა თავის შეილებს, სულ დაიფიქსისინი. მერე, როცა ნელ-ნელა გამოერკვა და ისევ მიაქცია ყურადღება ბავშვებს, გაკვირვებით შენიშნა, რომ დედის სიკვდილს ითქმის არაფერი უთაბეჭდილება არ მოეხდინა ჯორჯზე. ის უწინდელით ხმაურად; დარბოდა, ეშმაკობდა და, როგორც ეტყობოდა, სრულებით დაფიქვებოდა თავისი დედა.

— ეს ბავში სულ უგულოა!—ჰტიქრობდა სერ ევერარდი და თან თვალს ადევნებდა ჯორჯს, რომელიც თავისი ახალი შავი ტანისამოსით უზრუნველათ დახტოდა მინდორში და პატარა ბატკნებს ეთამაშებოდა.

რაც დრო გადიოდა, მამა სულ უფრო და უფრო რჩმუნდებოდა, რომ მისი შვილი უგულო იყო, მაგრამ... იმიტომ რომ მამამას მხოლოდ იმ დროს ხედავდა, როცა ბავშური ბუნება და ცოცხალი ხასიათი ჯორჯს მწუხარებას ავიწყებდა. ის ვერ ხედავდა მას იმ დროს, როცა ბავში უცებ დედას გაცხენებდა ხოლმე და ქვითინით, შეუკაცებელი, მწარე ქვითინით დაიწყებდა მისი საყვარელი სახელის გამეორებას... სერ ევერარდი ვერ ხედავდა ჯორჯს ვერც იმ დროს, როცა ბავში პატარა სასტუმრო ოთახში შეეარდნას და აპირებდა ხოლმე რამე ნაპოვნი საგანით ხელში, რამე ახალი ამბით, ახალი ცნობით... და უცებ კარებში შეჩერდებოდა, სახე მთლათ შეეცვლებოდა, თვალებზე უნებლიე ცრემლები მოადგებოდა, გაახსენდებოდა, აღარაფერ აღარ ზის ახლა ნაცნობ დივანზე, აღარაფერ დამიგდებს ყურს და გამიღიმებს, აღარაფერ მაკოცებს და მომეფერებაო... არაფის არ ესმოდა ამ დროს, როგორ გულ-ამომჯარი ატირდებოდა ხოლმე პატარა ბავში, ვერაფერ ვერ ხედავდა, როგორ უცებ

ცივით გამოტრიალდებოდა და გავარდებოდა ის ეზოში, ბაღში, წმინდა ჰაერზე, რომ თავი დაეხრია მწუხარებასა და მწარე მოგონებისათვის... არაფერ არ იცოდა, რა მწვევე ცრემლებით აღბობდა ის საღამო საღამოობით თავის ბალიშს, და არაფერ არ ესმოდა, რა უსაზღვრო სევდით იმეორებდა ის ამ დროს: დედა, დედა, რა უნდა ექნა, როგორ უნდა ვიყო უშენოთ, ჩემო დედაო!

გაიარა რამდენიმე ხანმა. პატარა ვიღოლის სულ დაევიწყდა თავისი დედა, მას მისი სახეც-კი ვეღარ წარმოედგინა, ჯორჯს-კი ისევ კარგათ ახსოვდა ის... ხან-და-ხან ის მთელი თვეობით არ ჰფიქრობდა ხოლმე დედაზე, მერე-კი უფეროთ რამე საგანი, რომელიც დედა მისს ეკუთვნოდა, რამე წიგნი, ყვავილი უცებ გაუახლებდნენ გულში წარსული დროს ხსოვნას. მაშინ ის მწუხარეთ ჩაჰქინდრავდა ხოლმე თავის შავ-ხუჭუჭ თმთან თავს, და მის დიდ, მეტყველ, ყოველთვის მხიარულ შავ-თვალეებში ცრემლები იელვებდნენ.

დენკარების ცოლის სიკვდილს შემდეგ დაცალიერებულ და მუდამ ჩაბნელებულ პატარა სასტუმრო ოთახში მისი დიდი სურათი ეკიდა. სურათზე მას კალთაში ერთი ნამცეცა ჯორჯი უჯდა. ყოველთვის, როცა ჯორჯს ვიროინი გაუწყრებოდა ხოლმე, ის ამ ბნელოთახში შეიპარებოდა, გაწევებოდა პოლზე სწორეთ იმნაირათ რანაირათაც სურათზე დედის კალთაში იწვა და ცდილობდა წარმოედგინა, ახლაც დედის კალთაში ვარ, მას კისერზე ხელებს ვხევე და თავი მის მხარზე მიდევსო.

ეს წარმოდგენა მისთვის ყოველ მწუხარებაში დიდი ნუგეში იყო. იმ დღეებში, როცა ამ ოთახს წმენდდნენ და ამზეურებდნენ, როცა მძიმე ფარდებს ზევით სწევდნენ, ოთახი ნათლდებოდა და სურათს მზის სხივები ადგებოდა, იმ დღეებში ორივე პატარა ძმა ყოველთვის სურათის წინ იდგნენ და უფროსი უყვებოდა უნცროსს ყველაფერს, რაც-კი თავის დედაზე ახსიავდა.

ვიღოლი უსაზღვრო პატივისცემით ეპყრობოდა ჯორჯს. რეწლის ვაჟი, რომელსაც კიდევაც ლამაზათ განწყობილი და გამოყვა-

წილი ტანისამოსი აცვია, საზოგადოთ დიდ პატივისცემას იწვევს ხუთი წლის პატარა ბავშვში, რომელსაც ჯერ ბლუზას მეტი არაფერი ღირსებია, მაგრამ აქ სხვა მიზეზიც იყო, ჯორჯი სწავთრიაც პატივსაცემი იყო ვილლისაგან: ჯორჯს ახსოვდა ის დრო, როცა პატარა სასტუმრო ოთახი ყველა სხვა ოთახებზე უფრო ნათელი და მხიარული იყო მათ სახლში, როცა მის ფანჯრებზე თხელი თეთრი ფარდები ეკიდა, როცა იქ მდგომი სკამები და საფარძლები სულ აბრეშუმგადაკრული იყო, როცა დედა ლამაზ დივანზე იწვა და მის გვერდით პატარა სტოლი იდგა, სტოლზე-კი—მისი საკერავის ყუთი.

ჯორჯის თვალები ამაყათ და თავ-მიამწონეთ ელვარებდნენ, როცა ის ყველა ამებს უყვებოდა თავის პატარა ძმას, მაგრამ ვილლის მაინც ვერ წარმოედგინა ცხადათ თავისი დედა. იმან იცოდა, ის გრძნობდა მხოლოდ, რომ დედა რაღაც წმინდა და მშვენიერი იყო, და მით უფრო საწყლათ და პატარათ, დაჩაგრულათ გრძნობდა თავს ჯორჯთან შედარებით, როცა ჯორჯი უეცრათ შესწყვეტდა ხოლმე ლაპარაკს და შეებრალებით, თან მედიდურათ ეტყოდა:

— ეჰ! რა გელაპარაკო! შენ ხომ სულ არ განსოვს ის!

საწყალი ვილლი, რომელსაც კარგათ არ ესმოდა ამ სიტყვების სამართლე, გულ-დაწყვეტილი თავს ჩაჰქინდრავდა ხოლმე.

— მართალია, ჯორჯ, არ მახსოვს!—მორჩილებით დაეთანხმებოდა ის, თან მწუნარეთ ამოიხრავდა.

ეს უსაზღვრო მორჩილება და პატივისცემა, რომელიც ვილლის ჯორჯისადმი ჰქონდა, ვირჯინის სიცოცხლეს უწამლავდა; საზოგადოთ მორიდებული და წყნარი, ვილლი გამბედავით ხდებოდა, როცა ჯორჯი მის გვერდით იყო, საზოგადოთ ჩუმი და გამკონე, ის ჯინიანათ იქცეოდა, როცა ჯორჯი ამას უბრძანებდა, და ხშირათ ვირჯინის იმდენათვე უჭირდებოდა უნცროსი ძმის გაძლება, როგორც უფროსის. თავისდა საუბედურათ დიდი ხანია თავისივე მწრე გამოცდილებით დარწმუნებულიყო, რომ ერთობა დიდ ძალას წარმოადგენს.

დღეს ვირჩინიმ რამდენჯერმე გადაკვრით უთხრა ჯორჯს, თუ თბილ პალტოს და კალოშებს ჩაიცვამ და ვილლის არ ატენ, შეგიძლია სადგურზე წახვიდე მამაშენის შესახვედრათო. ვილლის გაშვება-კი ყოველათ შეუძლებელი იყო; ვირჩინიმ კარგათ იცოდა, რომ ვერაფერი პალტო და ვერაფერი კალოშები მას გაცივებას ვერ ააცილებდენ. ან ჯორჯი მარტო უნდა წასულიყო, ან ორივე სახლში უნდა დარჩენილიყვენ.


— ნუ წახვალ, ჯორჯ! — ეხვეწებოდა პატარა ვილლი უფროს ძმას, როდესაც ისინი ორივე თანჯარას მიდგომოდნ და მინახე მიეკრათ სახეები. — ნუ წახვალ! საშინლათ მომწყინდება აქ, მარტო, უშენოთ!

— საძაგელი ბებრუხანა! — გულ-მოსულათ ბურტყუნობდა ჯორჯი. — ნუ გეშინია, ვილლი, არსად არ წავალ უშენოთ. მოდი, წვიმის წვეთები ვითვალოთ! დრო მაშინ უფრო მალე გაივლის!

ორივე გატაცებით შეუდგენ წვიმის წვეთების თვლას. მართლაც, ამ საქმემ შეუმჩნეველათ გაატარებინა მათ ნახევარი საათი, ისე გაერთენ, რომ ვერც-კი შენიშნეს, რომ ეზოში კაბრიოლეტი შემოირიხინდა და მხოლოდ მაშინ დაინახეს, როცა ის კარების წინ გაჩერდა.

ქალ. წერეთელი.

(გაგრძელება იქნება)



ერყ-მყნ ჯეების და პრმების მეჯობრები.



II *)

მითქმის ამავე ღროს გერმანიაშო ცხოვრობდა ერთი ისეთი კაცი, რომელსაც თავის დღეში აბატი არ ენახა და არც გაეგო რამე მასზე, მაგრამ იმისავეით თავ-დადებით და სიყვარულათ ემსახურებოდა იმავე კეთილ მიზანს.

გერმანიის ერთ პატარა სოფელში, ქალაქ ვეისენფელსის ახლოს იდგა ერთი სოფელის გეინიკეს სახლი. ამ სახლს ეზო და ბაყე დიდი ჰქონდა, აუარება ქათამი, იხვი და ბატი ირეოდა, კარგი საბძელები და ბედლები მოჩანდა, უსათუოთ შინაური საქონელიც ბლომათ ეყოლებოდა. ამ კარ-მიდამოს რომ შეხედავდა კაცი ადვილათ მიხედებოდა, რომ აქ მოსახლე კაი შეძლებული სოფელი უნდა ყოფილიყო. მართლაც მოხუცი საქსონელი გეინიკე მთელ არე-მარეზე ითვლებოდა მდიდარ მეოჯახეთ.

*) ისიდე ჯეჯიდი № VII და VIII.

ეს შეძლება არაფრათ მოსდიოდა თვალში იმის ერთ-ერთ ტანოვან, ჯან-მრთელ ოცი წლის ვაჟიშვილს, სამუილს. სამუილს გატაცებით უყვარდა სწავლა, მუსიკა და წიგნების გულისთვის ყველაფერს დაივიწყებდა ქვეყანაზე. მამასთან ხშირათ უსიამოვნება მოსდიოდა; მოხუც გეინიკეს ყველა ეს მიაჩნდა მდიდრების გასართობათ, მისი შვილი-კი უნდა მუშაკაცი გამოსულიყო, რომ მამისაგან ასე ძნელათ შეძენილი მამული შეენახა. მამა ყოველთვის წინააღმდეგი იყო, როდესაც შვილი ცდილობდა თავის თავის განვითარებას. ლოცვების და სახარების გარდა ყველა წიგნებს მოსტაცებდა ხოლმე; განგებ აუარება სამუშაოს ახვევდა თავზე, რომ დრო არ დარჩეს თავისუფალიო. სამუილმა დიდი გაჭირებით გამოიტანა ნება მამისაგან, რომ სკრიპკაზე დაკვრა ესწავლა თავის პაპისაგან, რომელსაც თავის თავათ შეესწავლა ეს ხელობა და სოფლის დამკვრელათ ითვლებოდა. სამუილი დაუყოვნებლივ ასრულებდა მამისაგან ჩაბარებულ საქმეებს, რაც უნდა მძიმე საქმეები ყოფილიყო, და, თუ თავისუფალ დროს ჩაიგდებდა, დალაღობის მიუხედავათ ან ხეს ამოეფარებოდა, ან თივას, ან ლობეს და ჩაუჯდებოდა რალაც მანქანებით ნაშოვნ წიგნებს.

ასე გასტანა სამუილმა ოც-და-ორ წლამდის. ერთ დღეს მამამ მოიხმო შვილი და გამოუცხადა: „შენი ცოლის შერთვის დროა და საცოლევ ამოგირჩიე მეზობლის ქალიო“. მეზობელიც ამათსავე შემძლე სოფელი იყო. ამ ამბავმა სამუილს თავზარი-დასცა. დაუწყო მამას ხეწვნა-მუდარება: თავი დამანებე, ქალი არ მომწონს, არც სურვილი მაქვს ოჯახობისაო.

მაგრამ მამა თავისას არ იშლიდა, ამბობდა: მეც შენი ხნისა ვიყავი, რომ დედ-მამამ ამომირჩია საცოლევ და შემართო, შვილიც ყოველთვის მამის მაგალითს უნდა მიჰყვესო.

სამუილი პატივსა სცემდა მამას და ყველაფერში ემორჩილებოდა, მაგრამ ცოლის შერთვაზე ვერ დაეთანხმა. ჯოჯოხეთათ მიაჩნდა უსიყვარულო ცოლთან ცხოვრება და ფიქრობდა თავი დაეხწია რო-

გორმე. „მე ხომ ახალგაზდა ვარ, ჯანმრთელი, დაჩვეული ყოველგვარ მძიმე მუშაობას, ნუ თუ ქვეყანაზე არ მოიპოვება ჩემი შესაფერი საქმე, რომ თავს ვუშველოო?“

სწორეთ ამ დროს ორი ჯარის-კაცი გაელით მოვიდნენ ამათ სოფელში, უნდა ისევ ქალაქ ღრეზდენს დაბრუნებულიყვენ. საღამო ჟამს ესენი სოფლის ღუქნის წინ ისხდნენ, ჩიბუხს სწევდნენ და თავის ყოფა-ცხოვრებაზე ლაპარაკობდნენ, ამბობდნენ ღრეზდენში კარგათ და მხიარულათ ვატარებთ ხოლმე დროსაო. სოფლის ყმაწვილკაცობა გარს შემორტყმოდნენ და გაფაციცებით ყურს უგდებდნენ, სხვათა შორის სამუილიც იქ იყო.

მეორე დილას სამუილი გეინიკე აღარსადა ჩანდა, ის გაჰყოლოდა ჯარის კაცებს ბედის საძიებლათ.



სამუილი რომ მივიდა ქალაქ ღრეზდენში, პირველათ ეუცხოვა. ამ დიდ ქალაქში ისეთ მდგომარეობაში ჩაეარდა, თითქოს უდაბურ ტყეშიაო. ქუჩის ორივე მხრივე ისეთი დიდრონი სახლები იყო ამართული, რომ მას სიზმარშიაც არ ენახებოდა. გარშემო აუარება ხალხი ირევოდა, მაგრამ არც ერთი ძეხორციელი ნაცნობი არ იყო. სა-

მუილს მოაგონდა თავისი სოფელი, ნაცნობები, მეგობრები, დედამისის ოჯახი და გული დასწყდა. ვინ იცის იქ ახლა რა ხდება? ნეტაეი მამა ამაზე ძლიან გაჯაგრებულია თუ არა? აპატიებენ თუ არა გაცევენს?.. გული ბოლმით ევსებოდა, ჯიბე-კი ცარიელი ჰქონდა, არ იცოდა მეორე დღეს რითი გამოეკეება თავი. სამუილი საჩქაროთ წავიდა და ჩაეწერა ჯარის-კაცათ; რომ შეხედეს იმის ახოვან ტანს და ჯანმრთელობას მაშინვე მიიღეს მეფის გვარდიაში და ამ დღიდან დაიწყო სამუილმა ახალი ცხოვრება.

სამხედრო სამსახური ამისთვის სულაც ძნელი არ იყო, დროს ბლომათ შოულობდა თავის საყვარელ წიგნებისთვის, როგორც სახლში ბოსტანს მონახედა ხოლმე, ისეც კაზარმებში საცა ამხანაგები კარტს თამაშობდნენ, ქეიფობდნენ და ჭივილ-ხივილი გაჰქონდათ სამუილი იშოვიდა კუნჭულს, მიუჯდებოდა ხოლმე წიგნებს და სხვას არაფერს დაეძებდა. თავდაპირველათ ყველა დასცინოდა, მაგრამ მისმა წესიერმა სამსახურმა, ამხანაგებთან კაი განწყობილებამ და თავის დაქტრამ გეინიკეს მოუპოვა საერთო პატრიისცემა და ვერაინ ბედავდა მის დაცინვას.

სამუილს ერთი რამე მეტათ აწუხებდა—წიგნების უქონლობა. მცირე ჯამაგირიდან წიგნების საყიდლოთ ვერაფერს გადასდებდა და სახლიდან-კი ფულს არ აწვდიდნენ, თუმცა მოვიდა თუ არა დრეზდენში, მაშინვე მისწერა ოჯახში წერილი. ალბათ გაჯავრებული იყვენ და ამას მეორეთ არაფრისგულისთვის არ უნდოდა წერილის მიწერა. მაგრამ თავის გამჭირაობით ამ გასაჭირს, უფულობასაც, უშველა. მოაგონდა თავისი სკრიპკაზე დაკვრა. მართალია ბევრი არა იცოდა რა, მაგრამ გაჭირების დროს შეიძლებოდა იმის დაკვრაზე ცეკვა და მღერა და იმ დღიდან სამუილს იწვევდნენ სკრიპკაზე დასაკერვლოთ ქორწილებში და სტუმრიანობის დროს და ისიც აღებულ ფულს მელანს, ქალაღს, კალმებს და სახელომძღვანელოებს ახმარებდა.

სამუილი ანბანიდან შეუდგა სწავლას. სოფელში იმდენი დაბრკოლება ელოებოდა წინ, რომ ეშინოდა კიდევ ისიც, რაც იცოდა არ დავიწყებოდა. ახლა კარგ და ჩქარ კითხვაში მალე გაიწრთენა, ხოლო ანგარიში და მართლ-წერა ეძნელებოდა. მაგრამ დაუღალავი შრომით და მტკიცე ხასიათით საქმე ისე კარგათ წაიყვანა, იმდენი ცოდნა შეიძინა, რომ სკრიპკაზე დაკვრას თავი დაანება, რადგან აქეთ-იქით სიარულით ბევრ დროს ჰკარგავდა და ახლა სხვანაირათ მოაწყო ფულის შოვნის საქმე. ცოტა შენახული ფულით გამოეწყო მასწავლებლისთვის შესაფერ ტანისამოსში, დაიწყო მოც-

ლილ დროს პირველ-დაწყებითი გაკვეთილების მიცემა. ამ საქმეზე ძალიან მიუყვება გული. მას ჰქონდა ყმაწვილების სწავლის ნიჭი, მშენებრათ იცოდა სწავლის გადაცემა და ამავე დროს თითონაც ვითარდებოდა და სწავლობდა. მან თავის წრეში კაი მასწავლებლის სახელი გაითქვა და იმდენი მოწაფეები გამოუჩნდა, რომ იძულებული იყო ბევრისთვის უარი ეთქვა. მასწავლებლობა იმდენ შემოსავალს აძლევდა, რომ ამ ფულით დაიწყო ფრანგული და ლათინური ენების შესწავლა. ადვილი წარმოსადგენია რა ძნელი იქნებოდა იმ კაცისთვის, რომელსაც არც ერთი უცხო სიტყვა არ გაეგონა, ამ ორი ენის შესწავლა. მაგრამ ნიჭიერი და ცოცხალი გენიკესთვის არ იყო არაფერი ძნელი, ახლაც მან დაძლია და გაიმარჯვა. რამდენსამე თვეს შემდეგ ადვილათ დაიწყო კლასიკური თხზულებების კითხვა ფრანგულათ და ლათინურათ.

რასაკვირველია მთავრობამ მიაქცია ყურადღება ამ ნიჭიერ ჯარისკაცს, რომელიც ოფიცრებზე მეტათ განათლებული იყო და არა ერთხელ ეუბნებოდნენ გამოეცადნა თავი, რომ სამსახური კარგი მიეცათ, მაგრამ გენიკეს ემანოდა ვაითუ მაშინ უფრო ცოტა დრო დამრჩესო ჩემი თავის განსავითარებლათო.

გენიკე თუმცა ამისთანა წარმატებაში იყო, მაგრამ თავის თავს ბედნიერათ არა თვლიდა. მას აწუხებდა ძალიან, რომ დედ-მამამ არ აპატია ოჯახიდან გაქცევა. ბოლოს თავის სასიამოვნოთ, მამის სიკვდილის წინეთ, ყველას შეურიგდა და მეორე წელიწადს საკუთარი ოჯახიკ გაიჩინა, შეირთო ის ქალი, რომელიც დიდი ხანი იყო მოსწონდა და უყვარდა.

თითქმის იმავე წელიწადს, რა წელიწადსაც აბატ დელეპემ დაიწყო იმ ორი ყრუ-მუნჯი, ქალიშვილის სწავლება სამუილ გენიკეს მოუყვანეს სხვა ყმაწვილთა შორის ერთი ყრუ-მუნჯი, რომელსაც ეტყობოდა დიდი ნიჭი. გენიკემ მას დიდი ყურადღება მიაქცია, თუმცა არ იცოდა, როგორ უნდა ესწავლებინა, მაგრამ თავისი კეპუით და დაკვირვებით იქამდის მიიყვანა ბავში, რომ ყველას უკვირდა ამ ყრუ-მუნჯის განვითარება და მისი მიხედვრილი გონება სასწაულათ მიაჩნდათ. ყრუ-მუნჯმა სწრაფათ შეისწავლა წერა, მაგრამ გენიკეს ის უფრო უხაროდა, რომ ანკ რიშიც მალე შეითვისა, ეს ნიშნავდა რომ შემდეგშიაც ბავშუს განვითარება ძნელი არ იქნებოდა. გენიკე

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბჭოთაო
საბჭოთაო

ამითაც არ დაკმაყოფილდა, წერის ცოდნა და თითებით ლაპარაკი სამყოფათ არ მიაჩნდა, მას უნდოდა რომ ბავშვს შესძლებოდა ლაპარაკი.

სწორეთ ამითი განსხვავდებოდა სამუილის და დელებეს სწავლებმა. დელებე ყურადღებას აქცევდა უფრო წერას და ნიშნებით ლაპარაკს, მაგრამ ნიშნებით ლაპარაკს გაიგებდა მხოლოთ ის, ვინც იცოდა თითონაც ნიშნებით ლაპარაკი და დაწერილს წაიკითხავდა მხოლოთ ის, ვინც იცოდა წერა-კითხვა. როცა-კი ლაპარაკი ეცოდინებოდა ერუ-მუნჯს, მაშინ ყველა გაიგებდა მის ნათქვამს და აი ამიტომ გეინიკე ცდილობდა რომ მის ერუ-მუნჯ მოწაფეს ლაპარაკი დაეწყო. კარგა დიდხანს ფიქრობდა ამაზე. ერთხელ უცაბედათ ხელში ჩაუვარდა ერთი გამოჩენილი ექიმის ლათინური ძველი წიგნი. იქიდან ამოიკითხა ბევრა საყურადღებო და თავისთვის საჭირო ცნობები. რამდენიმე თვის შემდეგ იმის ერუ-მუნჯმა დაიწყო ლაპარაკი. ის აკვირდებოდა მოლაპარაკეს პირის მოძრაობას, მიხედებოდა ხალმე რასაც ეუბნებოდნ და ამაზე მოკლეთ და გარკვევით აძლევდა პასუხს. ძნელი იყო გეინიკესთვის რომ ერუ-მუნჯს სასიამოვნო ხმით ელაპარაკა, მაგრამ ასოების სათითაოთ მკაფიოთ გამოთქმა-კი ყმაწვილს კარგათ შეასწავლა.

ამ საქმემ ისე გაიტაცა გეინიკე, რომ მან მოინდომა სამხედრო სამსახურისთვის თავი დაენებებინა და სრულათ მისცემოდა მასწავლებლობას. ამ დროს უცბათ გერმანიაში ატყდა ომი, პრუსიელებმა დაუწყეს ჩხუბი საქსონელებს და რასაკვირველია სამსახურის მიტოვების ნებას არავის მისცემდნ. სამუილი ძალა-უნებურათ უნდა წასულიყო საომრათ.

ძნელი წარმოსადგენია რა დღეშიაც ჩავარდა გეინიკე. ის მოაზრორეს საყვარელ საქმეს, ცოლ-შვილს და ახლა დღე მუდამ უნდა ეხეტიალა ჯართან ერთათ, აუტანელ გაჭირვებაში ყოფილიყო. ომმაც უბედურათ ჩაიარა, გეინიკე სხვა ამხანაგებთან ერთათ ტყვეთ წაიყვანეს, მერე ისევე დრეზდენში დააბრუნეს და ციხეში დაამწყვდიეს.

ან. წეჭეთლისა.

მეფე გიორგი ბრწყინვალე.



იორგი იყო შვილი მეფე დიმიტრი თავდადებულისა, რომლის სიკვდილის შემდეგ (1289 წ.) ამიერ-საქართველოს ტახტს თათრის ყაენები თავიანთ სურვილისამებრ აძლევდნ ხან ერთს, ხან მეორეს, ხან მესამეს. ჯერ იყო და მეფეთ დასვეს იმიერ-საქართველოს მეფის დაეითის შვილი ვახტანგი. მის სიკვდილის შემდეგ რაედენსამე წელს არაეინ დაუმტკიცებიათ მეფეთ. შემდეგ გაამეფეს დიმიტრი თავდადებულის უფროსი შვილი დაეითი. როდესაც დაეითმა ურჩობა გაუწია თათრებს, ყაენმა მეფობა მის-

ცა მის სულ უმცროსს ძმას გიორგის. რაედენსამე წლის შემდეგ მეფეთ გამოაცხადეს დაეითის მომდევნო ძმა ვახტანგი. ვახტანგის სიკვდილის შემდეგ ყაენმა მეფობა მისცა დაეითის შვილს გიორგის, მცირედ წოდებულს, და ხელმძღვანელათ მიუჩინა ბიძა მისი გიორგი, უკვე რაედენსამე წელს სახელით მხოლოთ მეფეთ წოდებული.

ამ მეფეების ცელისა და ქიშპობის დროს დაეცა სრულებით საქართველოს ძალ-ღონე. მთიელთა თავ-დასხმამ, მოუსაელობამ და სხვა უბედურებამ მაშინ იჩინა თავი. ქვეყანა დანატრულდა წესიერს მართებლობას და მწვიდობიანს ცხოვრებას. შინაური მოუწყობლობა და გარეშე მტერი ძირს უთხრიდა ქარველის ერის არსებობას.

აი ამისთანა გაჭირების დროს თათრების ყაენმა მეფობა ჩამოართვა გიორგი მცირეს და ხელ-მეორეთ გაამეფა მისი ბიძა გიორგი, ძე დიმიტრი თავ-დადებულისა. ეს მოხდა 1318 წ. ვაჟაკობასა და გამბედაობასთან გიორგის ჰქონდა ჭკუის გამჭირიანობა და ხასიათის სიმავრე. ის კარგათ ხელადედა, რა გაჭირებაშიაც იყო მისი სამეფო ჩაყარდნილი და ესმოდა, რომ ამ გაჭირებისაგან მისი ხსნა შეიძლებოდა მხოლოდ გაბედულის და მოფიქრებულის მოქმედებით.

ყოვლის უწინარეს გიორგი მეფემ გადაწყვიტა დაწყნარება მთიელის მეზობლების—ოსებისა, რომელთაც ეჭირათ ქალაქი გორი და მთელი ქართლი სათარეშოდ გაეხადათ. მცირე ხნის განმავლობაში აიღო გორის ციხე და განდევნა ოსები ქართლის სოფლებიდან კავკასიის მთებში, საიდანაც იყვენ გამოსულები. შექდეგ თვით მათ სამკვიდრო ადგილში მივიდა, დამორჩილა და დაუდგინა თავისი გამგებლები. ამის შემდეგ გიორგი მეფე იმის ფიქრს შეუდგა, თუ როგორ მოესპო თათრების მფლობელობა. საქართველოს საბედნიეროთ, თათრების სამფლობელო ახლა ისეთს ძალას აღარ წარმოადგენდა როგორც წინათ. თათრის ნოინთა*) შორის ატეხილმა ქიშპობამ და უთანხმოებამ მისცა გიორგი მეფეს იმედი საქართველოს ხსნისა. იმ დროს, როდესაც ნოინები ეურჩებოდნენ ყაენს და ცდილობდნენ თავიანთთვის დამოუკიდებლობის მოპოვებას, გიორგი მეფე იპყრობდა ძალით საქართველოს იმ ციხეებს, რომლებიც თათრებს ეჭირათ. ნოინები მარტოკა ცალ-ცალკე ვერას ხდებოდნენ გიორგი მეფესთან და იძულებულნი იყვნენ დაეთმოთ მისთვის ციხეები. ამნაირათ ნელ-ნელა და თანდათანობით გიორგიმ დაიჭირა ერთი მეორის შემდეგ საუკეთესო ციხეები და ბოლოს, როდესაც თათართა საყაენო განაწილდა რაედენსამე სამფლობელოდ, სრულებით გასწმინდა საქართველო თათართაგან.

თათართა უღლის მოსპობის შემდეგ გიორგი მეფე შეუდგა ში-

*) ტალკე ქვეყნების მმართველნი და ჯარის უფროსნი.



ნაურის წესიერების დამყარებას. წესიერების დამრღვევნი-კი იყვენ დიდებულები. მეფემ მტკიცეთ მოითხოვა მათგან მორჩილება და ყოველის თაენებობისა და ურჩობისათვის სჯიდა და რისხავდა მათ. დიდებულებმა ძალაჲს იუცხოვეს მეფის ასეთი მოპყრობა და გამართეს შეთქმულობა მის წინააღმდეგ. ეს რომ შეიტყო მეფემ, მოინდომა თავისებურის სისწრაფით და სიმტკიცით ბოლო მოეღო შეთქმულობისათვის. ყველა დიდებულები დაიბარა ვითომ სადარბაზოთ ცივის მთაზე. აქ თავმოყრილი შეთქმული დიდებულები დააჭერინა გიორგი მეფემ და გადასცა მოსამართლეებს გასასამართლებლათ. სასამართლომ ბრალდებულები დამნაშავეთ სცნო ქვეყნის მოღალატობაში და მიუსჯა სიკვდილით დასჯა, რაიცა მსწრაფლათ შესრულებულ იქმნა იქვე. მეფის ამისთანა მკაცრმა და მხნე მოქმედებამ შეაშინა ქართველი დიდებულები და აიძულა ხელი აეღოთ თაენებობასა და უწესო ქცევაზე.

რაკი ამნაირათ შინაურობა დააწყნარა და გაიმაგრა თავისი უფლება, გიორგი მეფემ შესაძლებელათ დაინახა საქართველოს ძველი საზღვრების აღგენა. პირველათ აღმოსავლეთის საზღვრებზე დაიწყო ზრუნვა. რანი და შირვანი *) თათრებს ეჭირათ. გიორგიმ შეკრიბა ჯარი და შევიდა რანში. წინააღმდეგობა ვერაფერს გაუწია და სწრაფათ დაიჭირა ეს ქვეყანა. აქედან გადავიდა შირვანში და ეს ქვეყანაც იმავე სისწრაფით დაიპყრო. ამნაირათ თავის სამეფოს აღმოსავლეთის საზღვრათ გაიხადა თეთრი ზღვა.

ახლა საჭირო იყო იმიერ-საქართველოს შემოერთება. მეფე დავით მეხუთის შეილის კონსტანტინეს მეფობის დროს იმერეთის დიდებულებმა ისარგებლეს მეფესა და მის ძმას მიქელს შორის აღტენილი დავით და ქიშპობით და დიდი დამოუკიდებლობა მოიპოვეს. კონსტანტინეს შემდეგ გაჰფედა მისი ძმა მიქელი და, რასაკვირველია, მასაც ყურადღებას არ ათხოვებდენ დიდებულები და თაენებათ

*) ახლანდელი განჯისა და ბაქოს გუბერნიები.

იქცეოდნენ. ხოლო როცა მიქელი მოკვდა, მისი ძე ბაგრატი ბევრ-
მა დიდებულმა არც-კი სცნო მეფეთ. მეფის უფლების ამნაირათ და-
ცემის გამო დიდებულნი მეტათ გალალდნ და დაიწყეს ერთმანერთ-
ში გაუთავებელი ქიზობა და ბრძოლა. შეწუხდა ქვეყანა, შეწუხდნ
თვით დიდებულებიც, რომელნიც ერთმანეთისაგან იჩაგრებოდნ. ბაგ-
რატს არ ჰქონდა იმოდენა ღონე და შნო, რომ არეულ-დარეულო-
ბა მოესპო და დიდებულები დაეწყინარებინა. გიორგიმ ისარგებლა
იმიერ-საქართველოს ასეთი მდგომარეობით და მოლაპარაკება გა-
მართა დიდებულებთან, რომ იგი ეცნოთ მეფეთ. ბევრს დიდებულს
გაენარდა გიორგის გამეფება და დაჰპირდნ დახმარებას. გიორგი გა-
დაეიდა ჯარით ღიზთ იქით. იმერლები დიდის აღტაცებით შეხედნ
მას. მაგრამ ყველა დიდებული არ იყო გიორგი მეფის მსურველი.
იმათ არჩიეს უძლური ბაგრატის მეფობა და გაამაგრეს იგი ქუთაი-
სის ციხეში. გიორგი მეფე მიაღვა ქუთაისს. ბაგრატმა ვერ შესძლო
ბევრ ხანს გამაგრება და იძულებული შეიქნა დანებებოდა გიორ-
გის იმ პირობით, რომ მისთვის მიეცა საუფლისწულო. გიორგიმ
დაიჭირა მთელი იმიერ-საქართველო, დააყენა ყველგან თავისი ერის-
თაეები და თვით ბაგრატს მისცა შორაპნის საერისთავო საუფლისწუ-
ლოდ. ამნაირათ თავის სამეფოს დასაეღეთის საზღვრათ გიორგიმ
გაიხადა შავი ზღვა და მით აღადგინა საქართველოს ბუნებრივი სა-
ზღვრები ზღვითიდან ზღვამდე (1230 წ.).


საქართველოს გაერთიანების და გათავისუფლების შემდეგ გი-
ორგი მეფე შეუდგა შინაური წეს-წყობილების გაუმჯობესებას. ამი-
ტომ შეადგინა სამართლის წიგნი როგორც საზოგადოთ მთელის სა-
მეფოსთვის, ისე კერძოდ ცალკე თემებისთვის, რომელნიც რამე გა-
რემოებით განსხვავებულ კანონებს ითხოვდნ. სამწუხაროდ, ჩვე-
ნამდე ვერ მოაწია საზოგადო სამართლის წიგნმა და ცნობილია მხო-
ლოთ მთიულთათვის შედგენილი სამართლის წიგნი, წოდებული ძეგ-
ლის დებად. სამოქალაქო წესებთან გიორგი ზრუნავდა საეკლე-

სიო წესების გაუმჯობესებისათვისაც. ამიტომ მოიწვია საეკლესიო კრება.

მეზობლები, რა თქმა უნდა, გულ-გრილათ ვერ შეხედადენ საქართველოს გაძლიერებას და, რაც ძალა ჰქონდათ, ეცადნენ ხელი შეეშალათ ამ გაძლიერებისათვის. იმ დროს, როცა მეფე გართული იყო შინაური საქმეების მოწესრიგებაში, მოულოდნელათ შემოესია რანს აღირბეჟანის მფლობელი და მიადგა განჯას. გიორგი მეფე ფიცხლავ გაეშურა განჯისკენ, შეება თათრებს და დამარცხებულნი უკუ აბრუნა. პატარა ხანს შემდეგ მცირე აზიის სულთანი ორხანი შემოესია კლარჯეთს. გიორგი მეფე გაემართა მისკენ და თან მიუგზავნა მოციქული, რომ მშვიდობიანათ დაბრუნებულიყო უკან და ზავი შეეკრა მასთან. სულთანმა უარ-ჰყო მეფის წინადადება. მაშინ გიორგი შეება სულთანს და გაუმართა ბრძოლა, რომელშიაც გამარჯვებულნი დარჩნენ ქართველები.

გიორგი მეფეს ამისთანა ღვაწლისათვის ისტორიამ უწოდა ბრწყინვალე. იგი გადაიცივალა 1346 წელს და დასტოვა სამეფო, რომელიც სიძლიერით არ დაუეარდებოდა დავით აღმაშენებლის და თამარის სამეფოს.

დ. კახიჭაშვილი.



ჯვაროსნული გალაშქრება ბავშებისა.

(ე. სისოვეისა)

V *)

მიემგზავრებიან!



კანასკნელი ღამე მშობლების სახლში! რა საშინელებაა ეს სიტყვები! სამშობლოში ყოველი კუნჭული, ყოველი საგანი თითქოს რაღასაც აგონებს კაცის გულს. დედ-მამის ალერსში თითქოს ლოცვა-კურთხევას გრძნობ. განა ადვილია ყველა ამის მიტოვება და უცნობ ადგილას გამგზავრება! მთელ ღამეს რობერტს თვალი არ მოუხუჭავს. გული ძლიერად უტყემა, საფეთქლები ეჭიმებოდა. ყველას ეძინა. ვეღარ შესძლო მეტ ხანს წოლა. ბავში ფრთხილათ წამოდგა ლოგინიდან, დაიხოკა ჯვარცმის ხატის წინ, რომელიც მისი ოთახის კუთხეში ესვენა და ცრემლ-მორეულმა დაიწყო ლოცვა.

მხურვალე და გულწრფელი ლოცვა ყოველთვის დიდ ძალას აძლევს ადამიანს. რობერტი წამოდგა ზეზე. კიდევ რამდენიმე წუთი დაჰყო ჯვარცმის წინ, მერე დაბრუნდა საწოლისკენ და ტკბილათ ჩაეძინა.

*) იხილეთ „ჯეჯილი“ № VII—VIII.

გათენდა სასიხარულო დილა ყმაწვილ ჯვაროსანთა გამგზავრებისა. მთელი მარსელის მცხოვრებნი ფეხზედ იდგენ. ცალიერი ხელით არაიენ მოსულა. ზოგს ფული მოჰქონდა, ზოგს სანოვაგე, ზოგს კი რომელიმე ტანთ-საცმელი წამსვლელ ყმაწვილთათვის. ალტაცებული სიხარულით მიაცილეს ჯვაროსნები ბანაკიდან ზღვამდის. ქვით მოკირწყლული გზა ედევთ წინ, მაგრამ ახლა ისინი ემზადებოდნენ ხანგრძლივ გალაშქრებისათვის, როგორც დღესასწაულისთვის. მათი სახენი გაბრწყინებულ იყვენ. ათი მომზადებული გემი მწყკრევით იდგენ ზღვის ყურეში. ამ ღირს სახსოვარ დილას ყველა გემები მოერთოთ სხვადასხვაფერ იალქნებით. რამდენიმე სასულიერო პირნი, გატაცებულნი ბავშვების მაგალითით, მონაწილეობას იღებდნენ ჯვაროსანთა პატივსაცემ დღესასწაულში; ისინიც მოკლე სამგზავრო წამოსასხმებით, მხარზე წითელი ჯარით იყვენ გამოწყობილნი. ჯვაროსნებს შეუერთდნენ მარსელის სხვა მრავალი ბავშვიც, რომლებიც თითქმის ყველა ჩუმათ გაიპარენ დედ-მამის სახლიდან. მათ რიცხვში რობერტიც იყო.

ჯვაროსნების წინამძღოლმა, სტეფანემ, დაინახა თუ არა ზღვა, მაშინვე დაიხოქა და იძღვრა საგალობელი. მის მაგალითს მიჰბადეს ყველა იქ მყოფთაც. გამოჩნდა დეპუტაცია ქალაქის წარმომადგენლებისა, სიცილიელ ვაჭრებთან ერთად, რომელთაც სტეფანე მიაცილეს ნავთ-სადგურამდის, სადაც დამზადებული იდგენ ძვირფასათ მორთული ნაფები, უთხრეს გამოსამშვიდობებელი სიტყვა და გზა დაულოცეს. სტეფანე პირველი ავიდა ერთ ნავთაგანში. შემდეგ დანარჩენი ჯვაროსნებიც მიჰყვენ მის მაგალითს. ბავშვების მთელი ჯარი გადაყვანილ იქმნა გემებზე სალამომდის. უკანასკნელი ნაფი რომ დაბრუნდა, ასწიეს ლუზა, ქარმა ააფრიალა იალქნები, გემი დაიძრა და ნელ-ნელა გამგზავრა.

ჯვაროსანი ბავშვები ირეოდნენ გემების ბაქანზე და ნიშნებით ეთხოვებოდნენ დატოვებულ მშობლებს. ნაპირიდან ისმოდა მრავალი ხალხის ხმაურობა, რომელიც უთელიდნენ ლოცვა-კურთხევას გა-

მგზავრებულ ყმაწვილებს. მაგრამ როდესაც გემები თვალთაგან წელ-
წელს მიეთარნენ, ხალხის სიხარული შეიცვალა მწუხარებათ. ბევრ-
მა მათგანმა ამოუშვა ქვითინი; ყველაზე ძრიელ ტიროდა მოხუცი
რაიმუნდი; ის ამ წუთში ჰკარგავდა თავის სიცოცხლის უკანასკნელ
სიხარულს: მისმა ერთათ ერთმა შეიღმა მიატოვა დედ-მამა და გა-
ემგზავრა შორს უცხო ქვეყანაში.

VI

მოღალატენი.

რობერტი თვალს ვერ აშორებდა დედამიწის ნაპირს. გემის ბა-
ქანზე გადაყუდებული, იგი სულ მარსელს უცქეროდა, ძვირფას მარ-
სელს, სადაც დარჩა ყველა ის, რაც მისთვის უძვირფასესი იყო: დედა,
მამა, პატარა და. შეიძლება ის კიდევაც მიძახის ახლა, დამეძებს ყვე-
ლა ოთახებში, — ჰტიქრობდა რობერტი, — საცოდავი დედ მამა-კი ტი-
რიან და ამბობენ: „აი რით გადაგვიხადა შეიღმა ჩენი სიყვარული!“

„მაპატიე, მაპატიე ჩემო საყვარლებო!“ — ამბობდა გულში
დაობლებული ყმაწვილი. მაგრამ გვიანდა იყო. ზღვა, როგორც უზარ-
მაზარი სამარე, აშორებდა მას ყველას. „ღმერთო ჩემო, ეს რა მო-
ვიქმედე?“ წარმოთქვა მან ხმა-დაბლა და იმ წამს იგრძნო, რომ ვი-
ლაცა ოღნაე შეებო მის მხარს. სწრაფათ მოიხედა. მის წინ იდგა
მწყემსი სტეფანე.

— ნუ დაეცემი სულით, საყვარელო ძმაო, — დამშვიდებით წარ-
მოთქვა სტეფანემ; — რისა გეშინია? გახსოვდეს ფსალმუნის სიტყვები:
„ანგელოსთა მისთა დაუბრძანების შენტოეს, დაცვათ შენდა ყოველ-
თა შინა გზათა შენთა“.

— აშინ! — ხმა-მაღლა წარმოთქვა მესამემ მშვიდი ბავშური ხმით.
ეს გენრიხის ხმა იყო. — გენანება საფრანგეთი, რობერტი? — ჰკითხა მან:
— მე-კი ახლა ის ჩემს სამშობლოთ აღარ მიმაჩნია; ჩემთვის ახლა

იერუსალიმი მთელ ქვეყანას წარმოადგენს. ნეტავი ფრთები მქონდეს, რომ მალე გადავფრინდე ზღვას და ენახო წმიდა ადგილები.

რობერტს აკვირებდა პატარა ამხანაგის სიგამხდრე და ფერმკრთალობა.

— რა დამართნია, ანუ ეს ხომ არა ხარ, გენრიხ? ჰკითხა მან. ბავშმა გაიღიმა.

— თავის დღეში ასე კარგათ არ ვყოფილვარ, როგორც ახლა. მე უნდა ვიცოცხლო, არ მოვეკვდები ვიდრე იერუსალიმს და ჩვენი მაცხოვარია საფლავს არ ენახავ...

სადილისათვის ზარი დაეკვს. ყველა მგზავრები ბაქანზე შეიკრიბენ. გემი, რომლითაც მოდიოდნენ სტეფანე, რობერტი და გენრიხი, თავის სიერციტ და მდიდრული მორთულობით სამეფო სასახლეს მიაგადა. მიდიოდა სხვა გემებთა შუა; მოსამსახურებიც ამ გემზე ორჯელ მეტი იყო, ვიდრე სხვა გემებზე. მაგრამ რალაც უცნაური ხალხი იყო! ბავშები შიშით ირეოდნენ ამ საშინელ, ბანჯგვლიან, მზისაგან დამწვარ მეზღვაურებს რომ უცქეროდნენ! რა ენახედაც ისინი ლაპარაკობდნენ, ბავშვებს სრულებით არ ესმოდათ.

— თუ რომ არაბები ნახევრათ მაინც ასეთი სასტიკი შეხედულობისა არიან, როგორც ჩვენი მეზღვაურები, — გაიფიქრა რობერტმა, — მაშინ ჩვენისთანა სუსტ ბავშვებს მხოლოდ ღმერთი თუ დაიფარავს მათი მუარვლობისაგან.

მგზავრობის პარველმა დღემ, სხვა-და-სხვა სანახაობის წყალობით, შეუმჩნეველათ განვლო ყმაწვილ ჯვაროსნებისათვის. მშვენიერი დარი იდგა. უღრუბლო მტრედის ფერი ცის კამარა გადაჰფარებოდა ხმელთა-შუა ზღვას. საღამოს მზის ჩასვლის დროს ცა და ზღვაც ოქროთი მოვარაყებულ სიერცეს გავდნენ. დადგა ღამე და ახლა სხვა სანახავი გამოეჭიმათ ჯვაროსანთა თვალებს. მუქ, მოლურჯო ცაზე ამობრწყინდნენ ურიცხვი ვარსკვლავნი. კაშკაშა მთვარის შუქი რალაც იღუმალ დიდებულ შეხედულობას აძლევდა ყველაფერს. რობერტს სულ ზემოთ უნდოდა ყოფნა. იგი თითქმის არ შორდებოდა

საქართველოს
საბავშვო
საზოგადოებრივი
სამსახური

ბაქანს. ზღვის მშვენიერი, დიდებული სანახაობა უფრო მეტათ უმაღ-
ლებდა ღმერთისადმი გრძობას და შეუწყვეტლივ ლოცულობდა.
გუგო და პორკუსი იდგენ გემის იმ კუთხეში, სადაც ინახებოდა
სურსათ-საკვები. ისინი ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

— თუ კარგი დარი დადგა, შეიძლება ამ შვიდ დღეშიც მივი-
დეთ დანიშნულ ადგილს, — ეუბნებოდა გუგო.

— სწორეთ გითხრა, მარჯვეთ-კი მოვიქცეთ, — უპასუხა პორ-
კუსმა. — ათის წლის განმავლობაში რომ ამისთანა ხელსაყრელი ვაჭ-
რობა გექონდეს, მერე ჩვენ უზრუნველათ შეგვეძლება ცხოვრება.

— ეიღრემდის პირში სული მიდგას, მე გულ-ხელს არ დავიკ-
რებ და მუდამ ფულის შოვნის მეცადინეობაში ვიქნები, — წაილაპარა-
ვა გუგომ.

— შემდეგ? ჰკითხა პორკუსმა.

— როდის შემდეგ? მე ვერ მივხვდარეარ რის თქმა გინდა.

— მთელ საუკუნეს ხომ ვერ ვიცოცხლებთ, ოდესმე ხომ უნდა
დავიხატოთ ჩვენც.

— ეჰ, ძმაო, მე ამაზე სრულებითაც არ ფიქრობ.

— შენ არხეინათ ლაპარაკობ, რადგან უცოლო ხარ, მიუგო
პორკუსმა. — გამოგატყდები გულ-ახლით, რომ მე არ შემიძლია გულ-
გრილათ ბავშების ცქერა. მეც ხომ მყავდა პატარა ვაჟი, ერთათ ერ-
თი ბავში... თამაშობის დროს ის ზღვაში გადავარდა და დაიხრჩო...

— შენს შეხედულობას არ შეშვენის მაგრეთი გულ-ჩვილობა,
— გესლიანათ შენიშნა გუგომ. — უმჯობესი იქნება წავიდეთ და ერთი
ბოთლი ღვინო გადავკრათ. და მეკობრეებმა გასწიეს გემის ქვემო
სართულში.

ნინო კნუჭიძე.

(შემდეგი იქნება)



ფიზიკური გეოგრაფია *)

(პროფესორი გეიკისა)

VII. ღელეები და მდინარეები წ.დ.ს ჩადან.



ხლა კვლავ მდინარეს მივაშუროთ და მისი ყოველნაირი მოქმედება გავითვალისწინოთ. ვთქვათ, ეს მდინარე უეცარი და დიდი წვიმისაგან ჯერ არ აღიდებულა. იგი ზანტათ მიიზღაზნება ქვით მოფენილს კალაპოტში. გვალვის მიზეზით კალაპოტში წყალს დაუკლია. იქა-აქა ქვებიც გამოჩენილა. მერე—მაგრსთანას რას ჩადის მდინარეო,—გაიკვირებებ თქვენ,—წყალი ხმელეთიდან ზღვაში გადააქესო, მორჩა და გათაედა. როგორ? სხვას კი არას მოქმედობს მდინარე? აბა, მოიგონეთ ჩვენი ნალაპარაკევი, მდინარესაც დააკვირდით და დარწმუნდებით, რომ მდინარე ბევრს სხვა მოქმედებასაც იჩენს. აბა, მოიგონეთ მდინარეს წყალი საიდან ჩამოუღის? უმეტეს ნაწილად წყაროებიდანო, იტყვი თქვენ. მერე, წყაროებში ხომ მინერალური მასალარის გახსნილი და მაშასადამე მდინარეს ზღვაში წყლის გარდა სხვა-და სხვა მინერალური მასალაც გადააქეს. გამოანგარიშებულა,


*) იხილეთ „ჭეჭილი“ № VII—VIII.

მაგალითათ, რომ რეინს ყოველ დღეს ჩრდილოეთ ზღვაში იმდენი კირი შეაქვს, რომ ამ კირიდან 332 ათასი მილიონი ლოკოკინას ბუდე გაკეთდებოდა. ამნაირათ, ქიმიურათ წყალში გახსნილი მასალა უხილაფია და არც წყლის ფერსა სცვლის. ამ მინერალების გადაზიდვა ყოველს დროს ხდება, თუ-კი მდინარე მიმდინარეობს.

მაგრამ აგერ კოკისპირული წვიმა წამოვიდა, მდინარეც აღიღდა, თქვენც აკვირდებით აღქაფებულს მდინარეს. ამ მდინარის წყალი წინეთ თუ წმინდა იყო, ახლა მღვრიე, ტალახიანია. რამ აამღვრია წყალი? თიხამა და ქვიშამ. ორიოდღე საათი რომ ამ მდინარის პირათ შეიცადოთ, თქვენს წინ წყალი რამდენიმე ათას ფუტს ქვიშასა და ტალახს ჩაატარებს. ამავე მდინარეში ქიმიურათ გახსნილ მასალას გარდა ბევრს სხვა ნივთიერებას შეამჩნევთ. ახლა-კი ცხადია თქვენთვის, რომ მდინარეთა უმთავრესი მოქმედება იმაში გამოიხატება, რომ წვიმისაგან და წყაროებისაგან დაშლილი მიწის ნაწილები მათ ზღვაში გადააქეთ.

მაგრამ მდინარეები დედამიწის პირის ნგრევასაც დიდათ ხელს უწყობენ. ამას მდინარის კალაპოტისა და ნაპირების დაკვირვება დაგიმომოწმებთ. მდინარის ქვიანი კალაპოტი გავაკებული და გალესილია; ქვები, კენჭები ამნაირს კალაპოტში შემოაკვერცხილი, შემოლამაზებულა; წინათ-კი ამავე ქვებს კლდიდან ყინვის თუ რამ სხვა მიზეზის ზედგავლენით ჩამონახეთქილათ, გვერდები პირიანი და ალესილი ჰქონდათ. ამას ყოველი კლდის ძირში შეამოწმებთ. მაგრამ დროთა ვითარების გამო ეს ქვები ახლა მდინარეში მოხედენ; აქ ქვა-ქვას ეხლება და ამით ნაპირები უმრგვალდება, ულამაზდება. აბა, გაზინჯეთ რომელიმე მდინარიდან ამოღებული ქვა, კენჭი, და თქვენც დაგვეთანხმებით. მდინარისაგან გატაცებული ქვები ერთი მეორესაც ეხლებიან და თან ფხეკავენ და გლეჯენ იმ ქვათა შრეებსაც, რომელნიც ამ მდინარის კალაპოტსა და ნაპირებს შეადგენენ. მდინარეში ალაგ-ალაგ იმისთანა მორეცები, რომ ქვები იქ ერთს ალაგას ტრიალებენ, ველარც ქვეით წასულან, ველარც ზეით. აი, ამ ერთს

ალაგას ტრიალით იგინი ქვიან კალაპოტს ღრღინა და აჩენენ ქვაბის მზგავს ორმოებს. დაიკლებს წყალი ზაფხულში და ეს ორმოებიც გამოჩნდებიან ხოლმე. (იხილეთ სურათი).



ცხადია ამას შემდეგ, რომ მდინარეში ქვების შეხლა-შემოხლასა და კალაპოტის და ნაპირების დაშლა-დანგრევას ორი შედეგი მოსდევს. ერთი ისა, რომ ბევრი ტალახი, ტურტული ქვიშა ჩნდება. მეორეც ისა, რომ მდინარის კალაპოტი ინგრევა, იშლება და ამით იცაღრმავდება და ფართოვდება. ხოლო მდი-

ნარეთა კალაპოტების ამოღრმავებისა და გაფართოების გამო ჩნდება მაგარ ქვათა შრეებში საოცარი სანახაფი გამოქვაბულები და უფსკრულნი.


ახლა ადვილი გასაგებია, მდინარეში ტურტული და ქვიშა რატ არის. ენახოთ, ახლა ამ ტურტულს, ქვიშას, ქვებს რაღა ემართება? ამის გასაგებათ, ისევ მდინარის კალაპოტს დააკვირდით ზაფხულში. აგერ ერთს ალაგას კალაპოტი მოსილულია, მეორე ალაგას წერილი კენჭების გროვაა, ხოლო ალაგ-ალაგ ამ კალაპოტში კარგა მოზრდილი ქვებიც მოჩანს. აბა, ახლა რომელსამე ადგილას დაუკვირდით ამ დაფშენილ მასალას და შეამჩნევთ, რომ იმის შემადგენელი ნივთიერებანი მუდმივ იცვლებიან. ქვიშის ან თიხის გროვა, შესაძლებელია, რამდენსამე ხანს ერთს ალაგას შერჩეს, ხოლო ამ

თიხის და ქვიშის შემადგენელი პატარა კენჭები მუდმივ იცვლება, რადგან მათ წყალი იტაცებს. მართლაც, ფხვიერი დანაყილი მასალა, რომელზედაც მდინარე მიმდინარეობს მდინარესვე წააგავს. როგორც მდინარის წყალი იცვლება; ისე მასალა. წყალი ერთს გროვას წარიტაცებს, ხოლო მეორეს მოიტანს. თუმცა მდინარე ყოველთვის ერთსა და იმავე ალაგზეა, მაგრამ წყალი მისი ყოველთვის იცვლება. ასევე ითქმის კალაპოტის შესახებაც. იგი ყოველთვის მოფენილია ფხვიერი დანაყილი მასალით, მაგრამ ეს მასალა ერთი და იგივე არ არის; ამ წუთში რო გაიტაცებს მას წყალი, მეორე წუთში ისევ სხვას გააჩენს.


ამნაირათ, დედამიწის ზურგიდან მდინარეში ჩარეცხილი სხვა-დასხვა მასალა მდინარეშივე არ ჩერდება. მაშ, ამდენი მასალა სად მიდის, სად გროვდება? არა ერთხელ შეგიძინნევიათ აღბათ, რომ ზოგიერთ მდინარეს სწორი და ვაკე ნაპირები აქვს. ამ შემთხვევაში მდინარე თითქმის გაშლილ მინდორზე მიმდინარეობს, და ეს მინდორი კი მდინარესაგან მოტანილი დაშლილი მასალისაგან გაჩნდა.

წყალ-დიდობის დროს მდინარის აუარებელი ტალახიანი წყალი კალაპოტში ველარ ეტევა და ნაპირებს გადიელის ხოლმე. ამ შემთხვევაში მთელი მინდორი ილეკება. ამნაირ გადალექის დროს წყალი ძალიან ნელა მიდის. იგი ველარ ასწრებს ტურტყლი და ქვიშა წარიტაცოს, ამიტომაც ქვიშა და სხვა მასალა მინდორზე რჩება და მას ამაღლებს. წლითი-წლობამდის ეს მოვლენა ხშირია, რის გამოც მინდორი თან-და-თან მაღლდება და ბოლოს ისე აიწევს, რომ მდინარე, რაკი თავის კალაპოტსაც აღრმავენს, თუნდაც ძალზე ადიდდეს, მაინც მიდამოებს ველარ წალეკავს.

ტბაში ან ზღვაში ჩადენის დროს, მდინარე თუ ნელა მიმდინარეობს, მაშინ მდინარის ძროში რჩება ტალახი, ქვიშა. ამ შემთხვევაში მდინარის ძროში ალაგ-ალაგ იმდენი ქვიშა და სხვა მასალა გროვდება, რომ წყალი მათ ველარ ფარავს და კალაპოტის ორივე მხარეზე ჩნდება ვეებერთელა ქაობიანი ალაგები. წყალ-დიდობის დროს



ეს ადგილები წყლით იფარება და ჩნდება ახალ-ახალი თენა სხვა-და-სხვა მასალისა. მდინარეც ამ ალაგებში მიიგრინება და თან შტოვბათ იყოფა. ამ ჭაობიან ალაგებზე ჩნდება მცენარეულობა, მასთან ცხოველებიც და ამნაირათ მდინარე აჩენს ახალს სამკვიდრებელ ალაგს. მდინარეთაგან გაჩენილ ამისთანა ჭალებს დელტა ქვია, რად-



გან ძველ ხალხში კარგათ ცნობილი ერთი ამ დელტათაგანი, მდინარე ნილის შესართავში, ბერძნულს ასოს Δ -ს წააგავს. (ახლესუჴათი) დელტას ხმელეთისაკენ შემოქცეული მხარე ვიწრო აქვს, ხოლო ზღვისაკენ ფართო. ზოგი დელტა ძალიან დიდია, მაგალითათ ბრაჴმპუტრას დელტა ინგლისისხელაა. ამისთანა დელტები რუსეთშიაც ბევრია, მაგალითათ ვოლგის შესართავში.

ამგვართ ყოველი დელტა დედამიწის ზურგიდან ჩამორეცხილ მასალათაგან ჩნდება. ხოლო მდინარესაგან მოტანილი მასალა სულ დელტაში-კი არ გროვდება, არამედ უმეტესი ნაწილი ვეებერთელა ორმოში, ზღვაში გადადის და იქ გროვდება.

სან—ინი.